ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 5 დეკემბერი, 2023 №239 (9275) ფასი: 80 თეთრი

გვ.3

მკვლელობის მცდელობის საქმეზე დაკავებულის მეზობელი — „ხელოსანი კაცია, არანაირი ბიზნესი არ ჰქონია“

10 პროდუქტი, რომელიც ნოემბერში ყველაზე მეტად გაძვირდა

გვ.4

„სალომე ზურაბიშვილმა პარტია რომ შექმნას, 5%-ს ვერ გადალახავს“

გვ.2

პაატა ზაქარეიშვილი: „ოპოზიციურმა პარტიებმა დათმონ ამბიციები, ერთმანეთის მიუღებლობა... ყველამ ზურგი აქციოს ნაცმოძრაობას და „ქართულ ოცნებას“ და აირჩიონ ნებისმიერი სხვა“

გვ.3

ლევან ალაფიშვილი: „მომავალ პარლამენტში შეიძლება ოპოზიციური მანდატები მცირე იყოს, მაგრამ ქვეყნის მმართველობაზე გავლენას მოახდენს“

„ქართული ოცნება“ პოლიტიკიდან არ გაქრება“

გვ.2

რა მიზნით ჩამოვიდა ფარცხალაძე საქართველოში

გვ.4

ოქროს ფასმა ისტორიულ, 2 135-დოლარიან ნიშნულს მიაღწია

ანი წითლიძე: „ვინ არ არის სახელ-გვარებზე ჩამოკიდებული პარტია“

გვ.3

„ომი რუსეთის საზოგადოებაში არაპოპულარულია“

გვ.4

ამგვები აფხაზეთის ომიდან

გვ.5

„მოხუცი ქალი საფენებში გახვეულ ჩვილს მაწვდის. ბავშვს ყელზე ცელოფანის პარკი აქვს ჩამოკიდებული“

გვ.7

სუპერლიგა აირია — ყველა ყველას უგებს

რომში ივერიის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატის ასლი დაიდგა

გვ.4

3 ლაზარე გრიგორიადისის დედა: „ჩვენ წინაშე სამართალი არ არსებობს, ქაბუს წინაშე გამოვიდა“

4 რუსეთიდან ფქვილის ექსპორტიორებში საქართველო მეორე ადგილზეა — რა რაოდენობის პროდუქტს ვყიდულობთ

6 ავდეევკის ალყაში მოქცევის შანსები შემცირდა

6 ოჯახი გოგონას ცეკვის გამო გაუსწორდა

1993230720223

„სალომე ზურაბიშვილმა პარტია რომ შექმნას, 5%-ს ვერ გადალახავს“

პაატა ზაქარეიშვილი: „ოპოზიციურმა პარტიებმა დათმონ ამბიციები, ერთმანეთის მიუღებლობა... ყველამ ზურგი აქციოს ნაცმოძრაობას და „ქართულ ოცნებას“ და აირჩიონ ნებისმიერი სხვა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ყოფილი სახელმწიფო მინისტრი, კონფლიქტოლოგი პაატა ზაქარეიშვილი პასუხობს.

— ბატონო პაატა, „ქართულ ოცნებას“ წინასაარჩევნო კამპანია აქვს გაჩაღებული. ამ დროს რა მდგომარეობაშია ოპოზიცია? ვხედავთ, რომ მთავარ ოპოზიციად წოდებული პარტია ნელ-ნელა იშლება. შიდა დაპირისპირება გასცდა პარტიას, ხაბეიშვილის გადადგომას ითხოვს ნაცმოძრაობის ერთი ნაწილი. რატომ მივიდა ეს პარტია ამ მდგომარეობამდე?

— ამ მდგომარეობამდე რომ მივიდოდა, ეს ცხადი იყო. მე მგონი, ჩვენ ერთ-ერთი პირველები ვართ, ვინც ამაზე ვსაუბრობდით, როგორც კი ხაბეიშვილი მოვიდა და მელია წავიდა. ეს არ არის ტრაგიკული მოვლენა. საზოგადოებას უნდა ავუხსნათ, რომ ამაში დიდი ტრაგედია არაა. როგორც წესი, პარტიები იშლება, მიდის ხალხი და ახალ პარტიებს ქმნის. ეს „ქართულ ოცნებას“ აწყობს, რომ აქედან ტრაგედია შექმნას. სინამდვილეში მსგავსი არაფერია.

— „ქართული ოცნება“ ყველაზე მეტს ლაპარაკობს ამ პროცესზე.

— დიახ, ნამდვილად ასეა. მათ აწყობთ, რომ საუბარი გადაიტანონ სხვა თემებზე. არ სჯობს ნაციონალებზე ილაპარაკონ, ვიდრე უმუშევრობასა და სიღარიბეზე?! ნაციონალებიც, თავის მხრივ, „ოცნების“ წისქვილზე ასხამენ წყალს. მე გულზე არ მეხატება ნაციონალური მოძრაობა, თუ არ იქნებიან, ამით ქვეყანა არ დაიქცევა. რაკი არიან, ეს ეფექტურად უნდა იქნას გამოყენებული საქართველოს დემოკრატიულობისთვის. ამიტომ, თუ იშლებიან, დროზე დაიშალონ, მელია წამოვიდეს, რასაც უკვე ვურჩევ თვეების განმავლობაში და დროზე შექმნას ახალი პარტია, არჩევნებამდე ცოტა დრო დარჩა. შექმნას ახალი ცენტრი და მესიჯი იყოს ასეთი, რომ ჩვენ ვართ ნამდვილი ნაციონალური მოძრაობა.

— როგორ ფიქრობთ, მოუწევს ლევან ხაბეიშვილს გადადგომა?

— არაა გამორიცხული. ხაბეიშვილს ჩაუვარდა პოლიტიკა. შეიძლება დღესვე არა, მაგრამ მოუწევს გადადგეს. მე ადრეც ვთქვი თქვენთან ინტერვიუში, როგორც ჩანს, მთავარი დარტყმა მოხდა სიებზე. ალბათ მელიას უთხრეს, რომ შენი ხალხი სიებში ვერ მოხვდება, კარგად იყავიო. ნიკა მელია იძულებულია, თავის ხალხთან ერთად შექმნას ახალი სია. თუმცა, მარტო ახალი სიით ვერაფერს გააკეთებს, თუ ახალი იდეები არ შესთავაზეს საზოგადოებას.

— ანუ მელიას და მისი მომხრეების წამოსვლა გადაწყვეტილია? ბათუმის ორგანიზაციიდან უკვე წამოვიდნენ.

— კი, ასეა. ეს ხალხი კი სახლში ნამდვილად არ წავა. დაიწყება რაღაც ახალი მოძრაობა, ახალი პარტიის შესაქმნელად. ნიკა მელიამ უნდა შექმნას განწყობა ოპოზიციურ ამომრჩეველში, რომ ჩვენ უფრო მეტნი ვართ, ვიდრე დღევანდელი ნაციონალური მოძრაობა.

— მარტო გავა მელია არჩევნებზე, თუ შესაძლოა გაერთიანდეს ვინმესთან?

— არაა გამორიცხული ისეთ პარტიებთან, ან კონკრეტულ პოლიტიკოსებთან გაერთიანდეს, რომლებიც ოდესღაც წამოვიდნენ ნაცმოძრაობიდან.

— სწორედ ნაცმოძრაობიდან წამოსული რომან გოცირიძე აცხადებს, რომ უნდა გავერთიანდეთ, ჩვენ, ელისაშვილი, „გირჩი“, „ლელო“, ხოშტარია-ჯაფარიძე და ნიკა მელიაო. როგორც ჩანს, უკვე მიდის საუბრები ამაზე?

— მე კატეგორიული წინააღმდეგი ვარ, რომ ოპოზიცია გაერთიანდეს ერთი რომელიმე ქოლგის გარშემო. თუ იქნება რამდენიმე ქოლგა, სამი-ოთხი, ეს ძალიან კარგია და ამის მომხრე ვარ. მაგალითად, ნომერ ხუთ ნაციონალურ მოძრაობასთან მისული პარტიები, ყველა დაიკარგება, ყველას ნაცმოძრაობა ჩაყლაპავს.

— ჯერჯერობით „სტრატეგია აღმაშენებელია“ ნაციონალებთან. როგორ ფიქრობთ, სხვებიც მივლენ?

— ნაციონალებთან მისვლა დამღუპველი იქნება ნებისმიერი ოპოზიციური პარტიისთვის. მელიასთან მისვლა კი, არ იქნება დამღუპველი. ნიკა მელიასთან შემოკრებილმა ძალებმა, იგივე ნაცმოძრაობიდან წამოსულების, ოპოზიციურად განწყობილ საზოგადოებაში, შესაძლოა, ნაცმოძრაობის რეანიმაციის განცდა გააჩინოს.

— „ლელო“ ახსენეთ და სწორედ მისი ლიდერის ლოზუნგია — შუა უნდა შეიკრიბოსო. შედგება ეს შეხვედრა?

— ზოგადად ეს კარგი იდეაა, შუა უნდა შეიკრიბოს, მაგრამ ნაცმოძრაობიდან წამოსული ხალხისაგან. ნაციონალური მოძრაობა აუცილებლად ჩაყლაპავს ყველას. ამიტომ ყველა სხვა შეიკრიბოს. ნაციონალური მოძრაობა აუცილებლად გააფუჭებს ყველა ოპოზიციურ პარტიას. ერთი ცენტრი ნაცმოძრაობა გვაქვს, თავისი ნომერი ხუთით, მეორე იქნება ნიკა მელია, მესამე უნდა იყოს სწორედ გაკრეფილი შუას აღდგენა. აშკარად ჩანს, რომ გიორგი გახარია აპირებს ცალკე გასვლას და მას აქვს შანსები, რომ გადალახოს 5%. ესეც ოთხი ცენტრი. ეს სრულიად საკმარისია. ეს ოთხი რომ გავიდეს, უკვე კარგი რამეა.

— ბატონო პაატა, ექსპერტთა ერთი ნაწილისგან ვისმენთ ასეთ შეფასებებს და მოწოდებებს პრეზიდენტის მისამართით, რომ კარგი იქნება თუ ის გადადგება და ოპოზიციურ გაერთიანებას ჩაუდგება სათავეშიო. თქვენ რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?

— მე მგონია, რომ პრეზიდენტი სადაც არის ახლა, იქ უფრო სასარგებლოა. ვფიქრობ, თუ ბოლომდე დარჩება თანამდებობაზე, უკეთესი იქნება. მან აშკარად გააძლიერა ევროკავშირში მიღებასთან დაკავშირებით კანდიდატის სტატუსის მიღების არგუმენტები. პრეზიდენტი, რომელიც უმაღლესი ფიგურაა, მან მკაფიოდ მხარი დაუჭირა ევროინტეგრაციას, იმპიჩმენტის რისკიც კი დაუშვა, რა თქმა უნდა, ეს იყო ძალიან სერიოზული არგუმენტი ევროპელებისათვის, რათა ჩვენთვის სტატუსი მოეცათ. ასევე, ხალხის ნებამაც დიდი როლი ითამაშა. არჩევნებამდე ძალიან ბევრი პრობლემა შეექმნება ქვეყანას. პრეზიდენტს კი აქვს შანსი, ეს გამოასწოროს.

— თქვენ ფიქრობთ, რომ ამ თანამდებობაზე უფრო მნიშვნელოვანია სალომე ზურაბიშვილის ყოფნა?

— ცალსახად ასეა. რა თქმა უნდა, მისი წამოსვლით გაძლიერდება ოპოზიცია, მაგრამ არა იმდენად, რომ პრეზიდენტის წამოსვლად ღირდეს. პრეზიდენტის სავარძლიდან გაცილებით მეტს გააკეთებს სალომე ზურაბიშვილი. ცალკე პარტია რომ შექმნას, დარწმუნებული ვარ, 5%-ს ვერ გადალახავს. მესამე ცენტრის შექმნაზე საუბრობენ, მაგრამ ჯერჯერობით არავინ არ გამოხატავს მზაობას. მაგალითად, მზად არის „ლელო“, რომ მიიღოს პრეზიდენტი? ან მზად არის გახარია, რომ მის გუნდში მიიღოს პრეზიდენტი? ამაზე ლაპარაკი არ მიდის. ამიტომ, პრეზიდენტი სადაც არის, იქ უფრო მეტ საქმეს აკეთებს, ვიდრე, სადაც შეიძლება რომ იყოს.

— ბატონო პაატა, რა გადატეხს ამ სიტუაციას? რატომლაც ოპოზიციური პარტიები გააქტიურებას არ ჩქარობენ. დღევანდელი გადმოსახედიდან კი „ოცნება“ დიდი ანგარიშით უგებს. რას ელოდებით?

— დიახ, ასე რომ დარჩეს ყველაფერი, „ოცნება“ აიღებს საკონსტიტუციო უმრავლესობასაც კი. ეს კატასტროფა იქნება. ამიტომ ოპოზიციამ უნდა მოახერხოს სერიოზული გადაჯგუფება. იმედი მაქვს, რომ გარკვეული სახის მოლაპარაკებები მიმდინარეობს და მთლად ასე წყალწაღებული სიტუაცია არაა. ალბათ მარტის თვეში უფრო კონკრეტული პასუხის გაცემას შევძლებ თქვენს კითხვაზე, თუ რა იქნება და რას ველოდები. თუ მარტში არ იქნება კონკრეტული კონფიგურაცია გამოკვეთილი, ეს უკვე კატასტროფის ნიშანი იქნება. ახლა მთავარია, რომ ოპოზიციურმა პარტიებმა დათმონ ამბიციები, გაბრაზება, ერთმანეთის მიუღებლობა და გაერთიანდნენ ორი-სამი ქოლგის გარშემო. უფრო მეტი ქოლგა ნიშნავს, რომ ვერ გადალახავენ 5%-ს. ეს ვერ გადალახული პროცენტები კი წავა „ოცნებასთან“. ყველამ ზურგი აქციოს ნაცმოძრაობას და „ქართულ ოცნებას“ და აირჩიონ ნებისმიერი სხვა.

— ცოტა ხნის წინ, სააკაშვილი დიდი აქტიურობით გამოირჩეოდა, საუბრობდნენ კიდეც, რომ „ვივა მედიდან“ წინასაარჩევნო კამპანია დაიწყოო. მისი იდეა იყო მანიფესტიც. ახლა, რაც ასე გამწვავდა ვითარება ნაცმოძრაობაში, მიშა დუმს. ყველა კითხულობს, რატომაა ჩუმად სააკაშვილი. თქვენ რას იტყვით, რას უცდის, რატომ არ აფიქსირებს საკუთარ პოზიციას? იმაზეც საუბრობენ, რომ „ოცნებასთან“ ვაჭრობს, რომ გაშვებას დაჰპირდნენ?

— გამორიცხული არაფერია, სააკაშვილი საკმაოდ კარგი მოვაჭრე პოლიტიკოსია. არ მგონია, რომ საბოლოოდ „ქართულ ოცნებას“ შეეკრას. უბრალოდ, ახლა მან არ იცის, საბოლოოდ რომელ კალათში ჩადოს კვერცხები. ეს მომენტი აშკარად ჩანს. ერთ მხარესაა ფული, კეზერაშვილი და მერაბიშვილი, ხოლო მეორე მხარეს არის განაწყენებული ნაცმოძრაობის ამომრჩეველი და პარტიის გარკვეული ბირთვი. თითქოს მიშამ სცადა ახალი, მესამე ვარიანტის მოფიქრება, ამ სოფო ჯაფარიძის სახით, ეს სრულიად გაუგებარი სვლა იყო, მართლა ვერ გავიგე, რისი თქმა უნდოდა ამით. სრულიად უგუნური გადაწყვეტილება იყო, რომ შემოიტანა მესამე ელემენტი ამ ორ დაძაბულ კონტექსტში. მიშამ საბოლოოდ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, თუ ვის მხარესაა. მე მაინც მგონია, რომ გადაწყვეტილებას მიიღებს იმ გუნდის სასარგებლოდ, რომელსაც ხაბეიშვილი ხელმძღვანელობს, ოღონდ, მინუს ხაბეიშვილი. ხაბეიშვილი აშკარად დისკრედიტირებულია, ძალიან სასაცილო რაღაცებს ლაპარაკობს, ნამდვილ მასხარად იქცა. ამ ფონზე უმჯობესია ხაბეიშვილი წავიდეს და ვიღაც სხვა აირჩიონ. სააკაშვილი ჯერ კიდევ წონის საკუთარ გადაწყვეტილებას, პლუსებს და მინუსებს. მისი საბოლოო გადაწყვეტილება უნდა იყოს დამაჯერებელი. ალბათ ახლა კონსულტაციები მიმდინარეობს. მიშას სიტყვა იქნება გადამწყვეტი. ამიტომაც აჭიანურებს ასე.

რა მიზნით ჩამოვიდა ფარცხალაძე საქართველოში

არსებული ინფორმაციით, ყოფილი მთავარი პროკურორი ოთარ ფარცხალაძე საქართველოში მოსკოვიდან ჩამოფრინდა. თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან მისი გამოსვლის დრო ავიაკომპანია „აზიმუტის“ დაფრენის დროს (16:00) ემთხვევა, რის შემდეგაც ფარცხალაძემ აეროპორტი დაახლოებით 30 წუთში დატოვა. უცნობია, რა მიმართულებით წავიდა სანქცირებული ყოფილი მთავარი პროკურორი აეროპორტიდან. თუმცა, მის სახლთან უსაფრთხოების ზომები გაძლიერებულია, ადგილზე მობილიზებულია დაცვა და ჟურნალისტებს ტერიტორიაზე გადაადგილება შეზღუდული აქვთ. ფარცხალაძე საკუთარ სახლთან ამ დრომდე არ გამოჩენილა. რა მიზნით ჩამოვიდა ფარცხალაძე საქართველოში, ეს ამ ეტაპზე უცნობია.

შალვა პაპუაშვილი: „ენმ-იდან კადრების გადინებით „ოცნება“ კმაყოფილია“

ენმ-იდან კადრების გადინებით „ოცნება“ კმაყოფილია — ყველაზე დიდ ოპოზიციურ პარტიაში მიმდინარე პროცესებზე განცხადება დღეს პარლამენტის თავმჯდომარემ გააკეთა.

შალვა პაპუაშვილი ამტკიცებს, რომ ენმ-ში მიმდინარე პროცესები ოლიგარქიის მავნე გავლენის შედეგია. სახელისუფლებო გუნდის წევრი ირწმუნება, რომ პარტია უწინდებურად კორუმპირებული და მოძალადეა.

ეს არის ზუსტად ოლიგარქიის მავნე გავლენა ქართულ პოლიტიკაზე. ჩვენ ვხედავთ პირდაპირ, რომ ოლიგარქიული ჯგუფები ჩართული არიან ბრძოლაში, შავი ფული ტრიალებს, გავლენები ტრიალებს, უცხოური გავლენები მათ შორის ამ პარტიაში და ამიტომაც ხდება ის, რაც ხდება ამ პარტიაში და ძალიან კარგია, იმიტომ, რომ აქ არ არის დავა ღირებულებებზე. ენმ ისეთივე მოძალადე პარტიად რჩება, როგორიც ის იყო. ენმ ისეთივე კორუმპირებულ პარტიად რჩება, როგორიც ის იყო თავიდანვე და ენმ ისევე ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედი რჩება, როგორიც იყო, — ამბობს პაპუაშვილი.

შეგახსენებთ, რომ ბათუმის საკრებულოს წევრებმა, მათ შორის, გიორგი კირთაძემ და მირდატ ქამადაძემ ყველაზე დიდი ოპოზიციური პარტია დატოვეს. ამის შესახებ მათ საგანგებო ბრიფინგზე ისაუბრეს და ბრძოლა ახალი პლატფორმიდან დააანონსეს.

ISSN 1987-9385

ახალი თაობა

გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი — სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი — ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური — კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური — 599-532-690
დირექტორი — ზურაბ ბერიძე
გაფრცელების სამსახური — მერაბ ლეკერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ქართული ოცნება“ პოლიტიკიდან არ გაქრება“

ლევან ალაფიშვილი: „მომავალ პარლამენტში შეიძლება ოპოზიციური მანდატები მცირე იყოს, მაგრამ ქვეყნის მმართველობაზე გავლენას მოახდენს“

ნათია ხურცილავა

კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ლევან, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის, პოლიტიკურ ველზე რა სიახლეს უნდა ველოდოთ ოპოზიციურ თუ სახელისუფლო ფლანგზე?

– სიმართლე გითხრათ, მოლოდინი და სურვილი მაქვს, რომ ქართულ პოლიტიკურ ველზე მენტალურად ახალი თაობა მოვა და არსებულ რეალობას შეცვლის.

იმედი მაქვს, რომ ახალგაზრდებს ექნებათ სურვილი და მზაობა, რომ ჩაერთონ პოლიტიკურ პროცესებში. ეს მხოლოდ გააჯანსაღებს ველს. მოგეხსენებათ, როდესაც კონკურენცია მაღალია, იქ ნაკლებია საფრთხე, რომ პროცესი სიმახინჯისკენ წავიდეს.

დღევანდელ, არსებულ პოლიტიკურ და პარტიულ სისტემაზე აღარაფერს ვამბობ, რადგან ამაზე არაერთხელ გაგვიმახვილებია ყურადღება. ეს არის ის მახინჯი ფორმა, რომელიც აუცილებლად უნდა შეიცვალოს, თუ გვინდა, პოლიტიკური რეალობა ქვეყანაში შეიცვალოს.

აშკარაა, რომ სიახლეა საჭირო. ეს ჩანს ყველა იმ სოციოლოგიურ კვლევებშიც, სადაც ამომრჩევლის 60 პროცენტზე მეტი სიახლის მოლოდინშია და არსებულს, უბრალოდ, უარს ეუბნება.

მე ვსაუბრობ თვისობრივად ახალზე, დასავლური ტიპის მოდელზე, რომელიც მხოლოდ ფასეულობებზეა დაფუძნებული და არა პერსონებზე.

– საქართველოს პოლიტიკა დღემდე მკვეთრად პერსონიფიცირებულია. როგორ ფიქრობთ, 2024 წლის არჩევნებზეც გადამწყვეტი შეიძლება ლიდერის ფაქტორი იყოს?

– დიახ, ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. დღემდე აქტუალურია გადამრჩენელის, მესიის როლი. ამიტომ, არ მგონია დარჩენილ მოკლე დროში ეს პოლიტიკური მოზაიკა შეიცვალოს. მენტალურ ცვლილებებს საკმაოდ დიდი დრო სჭირდება ხოლმე. ამიტომ ვამბობ, რომ არ მაქვს მოლოდინი, რომ „ქართული ოცნება“ და მისი ამომრჩეველი უცებ შეიცვალოს.

არც იმის მოლოდინი მაქვს, რომ „ქართული ოცნება“ პოლიტიკიდან გაქრება. ეს არც იქნება სწორი. მთავარია 2024 წლიდან ცვლილებებისკენ სწრაფვას ჩაეყაროს საფუძველი და ეს პროცესი დაიწყოს.

– მომავალ პარლამენტში როგორი შეიძლება იყოს ოპოზიციური წარმომადგენლობა?

– შეიძლება ოპოზიციური მანდატების რაოდენობა მცირე იყოს, მაგრამ შეიძლება გავლენა იქონიოს ქვეყნის მმართველობაზეც კი.

– როგორ?

– ეს ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ არჩევნებზე ძალთა თანაფარდობა როგორ დალაგდება, მაგრამ შეიძლება ერთ ოპოზიციურ მანდატსაც კი ოქროს ფასი დაედოს.

– ერთპარტიული მმართველობის დასასრული შეიძლება ეს იყოს და რეალური კოალიციური მმართველობისკენ გადავდგათ ნაბიჯი?

– ასე ოპტიმისტურად არ ვარ განწყობილი, რადგან ძალიან აქტუალური იქნება ე.წ. სატელიტი პარტიების პარლამენტში გაყვანა. ყველაფერს გააკეთებს მმართველი პარტია, რომ არ დაკარგოს ერთპარტიული ძალაუფლება, თუნდაც ეს მოხდეს ე.წ. სატელიტების ხარჯზე, მათი პარლამენტში შეყვანის ხარჯზე.

თუმცა, არ გამოვრიცხავ, ამ არჩევნებზე ძალიან მნიშვნელოვანი იყოს ე.წ. ოქროს გასაღები. ვის ხელში იქნება ეს „გასაღები“, ამას დიდი მნიშვნელობა ექნება.

2024 წლის საპარლამენტო არჩევნები მაინც იქნება გარდამავალი ეტაპი. ერთგვარი მოსამზადებელი პერიოდი ახალი პოლიტიკური ცხოვრებისთვის, რადგან, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ დასრულებულა ე.წ. სატელიტი პარტიების ეპოქა. ამას ვამბობ ორივე მიმართულებით, როგორც სახელისუფლო, ისე ოპოზიციურ ფლანგზე.

რეალური კოალიციური მმართველობა რომ მივიღოთ, რომელიც არჩევნების შემდეგ დგება, როგორც ეს ხდება დასავლეთში, ევროპაში, როდესაც მკვეთრად დაპირისპირებული მხარეები მთავრობას ერთმანეთთან შეთანხმებითა და მოლაპარაკებით ქმნიან, რადგან სხვა გამოსავალი არა აქვთ. ასეთია ამომრჩევლის განწყობა, გადაწყვეტილება და პოლიტიკოსები სწორედ ამომრჩევლის ნებას ემორჩილებიან. როგორც ჩანს, ჩვენს ქვეყანას იქამდე მისასვლელად ჯერ კიდევ გარკვეული დრო სჭირდება.

ციხისძირში ავარიას სამი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა

მცხეთა-მთიანეთის რაიონში მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას სამი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. გავრცელებული ინფორმაციით, ავარია გასულ ღამეს, სოფელ ციხისძირში მოხდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიება დაწყებულია სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-8 ნაწილით, რაც ავტომობილის, ტრამვაის, ტროლეიბუსის, ტრაქტორის ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა იმის მიერ, ვინც ამ სატრანსპორტო საშუალებას მართავს, რამაც ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

ანი წითლიძე: „ენმ არ არის სახელ-გვარებზე ჩამოკიდებული პარტია“

ნაციონალური მოძრაობის წევრი, ანი წითლიძე ბათუმში პარტიის რამდენიმე წევრის წასვლას ეხმაურება და აცხადებს, რომ ენმ „სახელ-გვარებზე ჩამოკიდებული“ პარტია არ არის.

– მე არ მგონია, რომ აჭარაში ეს წასულები, მიუხედავად მათი დიდი წვლილისა, ესენი ყოფილიყვნენ მთავარი ფაქტორი იმ შედეგისა, რაც ბათუმში და აჭარაში იდებოდა. და ზოგადად, ნაციონალური მოძრაობა არ არის სახელ-გვარებზე ჩამოკიდებული პარტია, ნაციონალური მოძრაობა არის თავისი ამომრჩევლების პარტია, – განაცხადა მან.

ნაციონალური მოძრაობის ბათუმის ორგანიზაციის წევრების ნაწილმა, მათ შორის გიორგი კირთაძემ, პარტია დატოვეს. ჯამში, ნაციონალური მოძრაობა ბათუმში პარტიის 8 წევრმა დატოვა. მათ შორის არიან საკრებულოს 7 დეპუტატი და აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გიორგი კირთაძე.

აღსანიშნავია, რომ გიორგი კირთაძემ პარტიის მიერ 22 ნოემბერს გამოქვეყნებულ მანიფესტს ხელი არ მოაწერა. ის ამბობდა, რომ ჩანაწერს, რომელშიც ენმ-ის ამჟამინდელი პოლიტიკური საბჭოს ლეგიტიმურობაზეა საუბარი, არ ეთანხმება.

პეტრე-პავლეს სასაფლაო გაქურდეს

თბილისში, პეტრე-პავლეს ძველ სასაფლაოზე თითქმის ყველა საფლავი გაქურდულია. წაღებულია მეტალის ღობეები და კარები. ჭირისუფლები ყვებიან, რომ ქურდობის ფაქტები თითქმის ყოველდღიურად ხდება.

ადგილზე კი აცხადებენ, რომ ბოლო რამდენიმე თვეა შემთხვევებმა იკლო და, სავარაუდოდ, დამნაშავეები დაჭერილები არიან.

რუსეთის მოქალაქეებმა წელს საქართველოში 5,780 ბინა შეიძინეს

რუსეთის მოქალაქეებმა 2023 წლის იანვარ-ნოემბერში საქართველოში 5,784 ბინა შეიძინეს, – ამის შესახებ იუსტიციის სამინისტროს მიერ დეპუტატ თინათინ ბოკუჩავასთვის გაცემული პასუხიდან ირკვევა.

იუსტიციის სამინისტროს თანახმად, წელს იანვარ-ნოემბრის განმავლობაში რუსეთის მოქალაქეებმა უფრო მეტი ქონება შეიძინეს, ვიდრე მთელი 2022 წლის განმავლობაში, რადგანაც გასულ წელს რუსებმა 5,424 ბინა იყიდეს საქართველოში.

მომატებულია რუსეთის ფედერაციის მოქალაქეთა მიერ საქართველოში მიწის ნაკვეთების ყიდვის სტატისტიკაც. თუკი მთელი 2022 წლის განმავლობაში მათ 1,625 ნაკვეთი შეიძინეს, წელს ეს 1,872 ნაკვეთი იყო.

კომერციული ბანკების 10 თვის წმინდა მოგება 2,3 მლრდ ლარამდეა

2023 წლის ოქტომბრის მდგომარეობით, კომერციულმა ბანკებმა 2,284 მლრდ ლარის წმინდა მოგება მიიღეს.

ეროვნული ბანკის სტატისტიკის მიხედვით, 2023 წლის 10 თვეში კომერციული ბანკების საპროცენტო შემოსავლებმა 5,837 მლრდ ლარი, ხოლო საპროცენტო ხარჯებმა 2,635 მლრდ ლარი შეადგინა.

ამავე სტატისტიკით, 2023 წლის იანვარ-ოქტომბერში ბანკების მიერ მიღებული საპროცენტო შემოსავალი ჯარიმებიდან – 91,7 მლნ ლარი იყო, საპროცენტო შემოსავალი სესხებიდან 4,915 მლრდ ლარი, ხოლო ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიდან მიღებული მოგება – 570,9 მლნ ლარი.

სამართალი

ლაზარე გრიგორიადისის დედა: „ჩვენ წინაშე სამართალი არ არსებობს, კაბუს წინაშე გამოვიდა“

– ჩვენ წინაშე სამართალი არ არსებობს, კაბუს წინაშე გამოვიდა, – ამის შესახებ მარტის აქციებზე დაკავებული ლაზარე გრიგორიადისის დედა, თამთა კალანდაძე „მთავარი არხის“ ეთერში საუბრობს.

– არ მინდა, რომ ვიღაცას ხაზი გავუსვა, რომ აი, კაბუს ისე გაუკეთეს და ლაზარეს ასე, მაგრამ ჩვენ წინაშე სამართალი არ არსებობს და კაბუს წინაშე გამოვიდა, რომ თურმე ესეც შეიძლება იყოს. რვა თვის განმავლობაში ბრალი დამტკიცებული არ არის, პროცესი ჭიანურდება, იწელება. საერთოდ რას აკეთებენ, ჩემთვის გაუგებარია, იმიტომ, რომ 17-ში უნდა ყოფილიყო სასამართლო და რატომ გადადეს, მე ვერ გავიგე. ლაზარეს ვიცი, რომ ტელევიზორი აქვს საკანში და თუ მე მიყურებ, დედი, მიყვარხარ სიგიჟემდე, ისე მენატრები, რომ გული მისკდება და სულ ახლო მომავალში ვგეგმავ ჩვენ შეხვედრას, ერთად უნდა შევხვდეთ ახალ წელს, – თქვა თამთა კალანდაძემ.

მკვლელობის მცდელობის საქმეზე დაკავებულის მეზობელი – „ხელოსანი კაცია, არანაირი ბიზნესი არ ჰქონია“

თბილისში, აღმაშენებლის გამზირზე მომხდარი დაჭრისა და მკვლელობის მცდელობის საქმეზე ახალი დეტალები ხდება ცნობილი.

დაკავებულ ნოდარ ვაშაკიძის მეზობლის განცხადებით, შემთხვევის მომენტში დაზარალებულიც და დაკავებული მამაკაციც ნასვამები იყვნენ. ამასთან, მეზობელი უარყოფს ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც, სისხლიანი გარჩევა ბიზნესწილების გადანაწილებას უკავშირდება.

– ვაშაკიძეს 38 წელია ვიცნობ, უწესიერესი, ხელოსანი ბიჭია. ბოლო დროს, თუ არ ვცდები, ნათესავთან მუშაობდა. არანაირი ბიზნესი არ ჰქონია. რამდენადაც ვიცი, დაჭრილს იცნობდა. აქ ძმები ცხოვრობენ, ორივე ხელობაზე მუშაობს. შეძლების ნაწილში ფაქტი სახეზეა, ბიზმესმენი რომ იყოს, ასეთ პირობებში იცხოვრებდა?

ნასვამი იყო ესეც, ნასვამი ყოფილა ისიც, ეტყობა, შელაპარაკება მოხდა, რა, როგორ იყო, არ ვიცი. კონფლიქტური არასდროს ყოფილა, თუ რამე კონფლიქტი ხდებოდა, პირიქით, სულ ცდილობდა დაელაგებინა... ადგილზე დააკავეს, პოლიცია იქ იყო, მთელი ზაარბრიუკენის მოედანი გადაკეტილი იყო, – განაცხადა მეზობელმა.

არსებული ინფორმაციით, ნოდარ ვაშაკიძე წარსულში ნასამართლევია.

ცნობისთვის, თბილისში, აღმაშენებლის გამზირზე, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ნოდარ ვაშაკიძემ 38 წლის თეიმურაზ ანჯაფარიძეს ცივი იარაღით დაზიანებები მიაყენა. ვაშაკიძემ დანით დაზიანება მიაყენა გამოძახების შედეგად შემთხვევის ადგილზე გამოცხადებულ საპატრულო პოლიციის თანამშრომელსაც.

ნოდარ ვაშაკიძე განზრახ მკვლელობის მცდელობის და სამსახურებრივი საქმიანობის შესრულების დროს პოლიციელზე თავდასხმის ბრალდებით დააკავეს.

რაც შეეხება დაჭრილებს, 23 წლის პოლიციელის, გიგი ოთიაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია. ის კლინიკა „ჰელსიკორშია“ მოთავსებული. 38 წლის თეიმურაზ ანჯაფარიძე კი ალადაშვილის სახელობის კლინიკაშია გადაყვანილი, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

ნოდარ ვაშაკიძეს ბრალს, სავარაუდოდ, დღეს წაუყენებენ.

„ომი რუსეთის საზოგადოებაში არაპოპულარულია“

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველოში გამოკითხულთა 73% შეშფოთებულია რუსეთის მოქალაქეების ექსპანსიით. მეორე მხრივ, გრძელდება ანტიდასავლური ჯგუფების პროპაგანდა. ამ პუტინისტური პროპაგანდის თანახმად, თითქოს უკრაინაში შეჭრილ რუსეთს გამარჯვება გარანტირებული აქვს, კრემლს ომის გასაგრძელებლად სახსრები არ ელევა, რუსეთის ხელისუფლებას საკუთარი მოსახლეობის მხრიდან აბსოლუტური მხარდაჭერა აქვს და ვითომ კრემლი მსოფლიოში ქმნის ახალ პოლიტიკურ წესრიგს.

რუსეთში ჩატარებული სოციოლოგიური კვლევა საპირისპირო სურათს აჩვენებს. კვლევა ჩატარდა პროექტ „ქრონიკის“ ფარგლებში. გამოკითხვა აჩვენებს, რომ ომის მომხრეთა რიცხვი საგრძნობლად შემცირდა. თებერვალში ეს მონაცემი 22%-ს შეადგენდა, ახლა კი, 12%-ს ძლივს აღწევს.

რადიო „თავისუფლების“ რუსული სამსახური ესაუბრა პროექტის ავტორს, ალექსეი მინიაილოს.

მკვლევარი მინიალო:

– ვხედავთ, რომ ომის მიმართ მხარდაჭერა დიდი ხნის განმავლობაში თანმიმდევრულად იკლებდა. ომის მომხრეთა რიცხვი მკვეთრად დაეცა სექტემბერ-ოქტომბერში. ამაზე იმოქმედა საშემოდგომო გაწვევამაც. გარდა ამისა, ეს არის მოქალაქეთა მატერიალური მდგომარეობის გაუარესების შედეგი. ადამიანები საუბრობენ იმაზე, რომ ოჯახებს შემოსავალი შეუმცირდათ. თუ 2022 წლის მარტში ამაზე ლაპარაკობდა 39%, ამჟამად ეს მაჩვენებელი 44%-მდე ავიდა. არსებობს კიდევ ერთი პარამეტრი. გამოკითხულები პასუხობენ შეკითხვას, ჰქონდათ თუ არა შფოთვისა და დეპრესიის შეტევები? მარტში ამას დადებითად უპასუხა 32%-მა, ახლა კი – 52%-მა. ესე იგი, ნახევარზე მეტი ადამიანი განიცდის შფოთვას და იმყოფება დეპრესიაში. შესაძლოა, ეს უკავშირდებოდეს მომავლის რწმენის უქონლობას.

– აღნიშნეთ, რომ შედეგზე აისახა საშემოდგომო გაწვევა. ეს ხომ რეგულარული პროცესია? არმიაში გაწვევა ყოველ გაზაფხულსა და შემოდგომაზე ხდება?

– დიახ, ეს რეგულარული მოვლენაა, თუმცა ომის დროს გაწვევას სხვანაირად აღიქვამენ. არ არის გამორიცხული, ხალხმა ზაფხულში შეიტყო გამოჟონილი ინფორმაცია ომში დანაკარგის რეალური მასშტაბების შესახებ, ან ხალხმა დაკარგა იმის იმედი, რომ გაწვეულებს ომში არ გაგზავნიან. სავარაუდოდ, ადამიანებმა იციან, რომ გაწვეულებს აიძულებენ კონტრაქტების ხელმოწერას (კონტრაქტზე ხელის მომწერები ფრონტზე მიდიან).

– შესაძლებელია თუ არა, ადამიანების განწყობებზე ომთან დამოკიდებულებაში აისახოს პრიგოჟინის ამბოხთან დაკავშირებული ისტორია?

– პრიგოჟინიც ამბობდა, რომ ეს ომი შეცდომაა. პრიგოჟინი ჰუმანისტი არ ყოფილა. უბრალოდ, მას ესმოდა ხალხის განწყობა და ამას ერგებოდა.

– როგორი იყო დამოკიდებულება ამ ისტორიის მიმართ?

– რთული. არსებობს კავშირი ამბოხსა და პოლიტიკურ მითითებებს შორის. თავისთავად ამბოხს პრეზიდენტის მიმართ ნდობა არ მოუსპია.

– თქვენი მონაცემები ომის მომხრეებისა და მოწინააღმდეგეების შესახებ მკვეთრად განსხვავდება მსხვილი სოციოლოგიური ცენტრების მიერ გამოქვეყნებული მონაცემებისგან. იქ ომის მომხრეების რაოდენობა მნიშვნელოვნად დიდია.

– ეს ილუზიაა. ჩვენი მონაცემები ერთმანეთისგან თითქმის არ განსხვავდება. უბრალოდ, ჩვენ დამატებით კითხვებსაც ვსვამთ. შეკითხვა: „უჭერთ თუ არა მხარს სპეციალურ სამხედრო ოპერაციას?“ – არაინფორმატიულია. ჩვენ პასუხების ვარიანტში დავამატეთ ასეთი ფრაზა – „არ მსურს შეკითხვაზე პასუხის გაცემა“. ამის ხარჯზე ომის მომხრეების რაოდენობა შემცირდა. მთლიანობაში, ჩვენი მონაცემები თითქმის არ განსხვავდება „ლევადა ცენტრის“ მიერ გამოქვეყნებული მონაცემებისგან.

– რამ იმოქმედა ომის მოწინააღმდეგეებზე?

– ყველაზე მთავარი – ეს არის ეკონომიკა და ომის ხანგრძლივობა. ადამიანები გრძნობენ ომის შედეგებს. ომი დიდი ხანია მიმდინარეობს, გამარჯვება არ იკვეთება, ადამიანები იხოცებიან, ეკონომიკა ეცემა, არის დეპრესიულობა. ადამიანები ამისგან იღლებიან.

– ადამიანების 52-მა პროცენტმა განაცხადა, განიცადა შფოთვისა და დეპრესიის შეტევები. ადამიანები ხომ სხვადასხვა რამეს განიცდიან: ომის მომხრეებს ერთი რამ აწუხებთ, მოწინააღმდეგეებს – სხვა. ამ საკითხის დეტალიზება არ მოგიხდენიათ?

– არა. ომი ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმდინარეობს, ეკონომიკა უარესდება. ეს ადამიანებში იწვევს ნეგატიურ განცდას. დამარცხების შიშიც შეიძლება სერიოზულად ანერვიულებდეს ადამიანებს. ჩემი აზრით, ადამიანების შფოთვა და დეპრესია უკავშირდება იმას, რაც უშუალოდ მათ ეხება და არა იმას, რაც ფრონტზე ხდება.

– ახლობლებზე ღელვაც ხომ არის? შიში კაცების გამო (ომში გაწვევის გამო)?

– ინტერნეტი სავსეა ინფორმაციით იმის შესახებ, რომ პუტინს ყველაფერი კარგად მისდის. ექსპერტები ირწმუნებიან, რომ მას შეუძლია უსასრულოდ იომოს და რომ ამისთვის ფული საკმარისი აქვს.

ჩვენი მონაცემებიდან ჩანს, რომ ეს ასე არაა. ის ფაქტი, რომ ომი საზოგადოებაში არ არის პოპულარული, ნიშნავს, რომ პუტინს გაუჭირდება ადამიანების მოძიება სანგრებში გასაგზავნად. ის იძულებული გახდება, მათ მეტი გადაუხადოს. ეს არის დატვირთვა ეკონომიკისთვის. ხელისუფლებას გაუჭირდება დამატებითი ფულის ამოღება ეკონომიკიდან. ადამიანები თავს აარიდებენ ახალ გადასახადებსა და მოსაკრებლებს.

ესე იგი, პუტინს გაუძნელდება მიიღოს მეტი ფული იმისთვის, რომ გააგრძელოს ეს ომი. მდგომარეობა არც ისეთი მდგრადია, როგორსაც ის წარმოაჩენს რუსეთის მოქალაქეებისა და დასავლეთის სამყაროს წინაშე.

– და თქვენ ერთმნიშვნელოვნად ასკვნით, რომ ომი საზოგადოებაში არაპოპულარულია?

– ამის თქმა დარწმუნებით შეიძლება. არავის აქვს ობიექტური მონაცემები იმის შესახებ, რომ ეს ომი პოპულარულია. თუ მოქალაქეებს ზავის შესახებ ვკითხავთ, მათი დიდი უმრავლესობა იტყვის, რომ ზავის და არა ომის გაგრძელების მომხრეა. მონაცემების კოლოსალური რაოდენობა ადასტურებს, რომ ომი რუსეთის საზოგადოებაში არაპოპულარულია.

ეკონომიკა

10 პროდუქტი, რომელიც ნოემბერში ფასზე მეტად გაძვირდა

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2023 წლის ნოემბერში, წინა თვესთან შედარებით, ინფლაციის დონემ საქართველოში – 0.2%, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 0.1% შეადგინა.

რაც შეეხება საბაზო ინფლაციას, აღნიშნულმა მაჩვენებელმა 2023 წლის ნოემბერში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2.1% შეადგინა, ხოლო თამბაქოს გარეშე წლიური საბაზო ინფლაციის მაჩვენებელი 1.8%-ით განისაზღვრა.

„ბიზნესპრესნიუსი“ გთავაზობთ 10 საკვები პროდუქტის ჩამონათვალს, რომელზეც ფასი გასულ თვეს ყველაზე მეტად გაიზარდა:

ყურძენი – 61,67%, ატამი – 36,96%, ქლიავი – 28,52%, მსხალი – 26,32%, ბოთლის ღვინო – 14,13%, ძროხის ხორცი – 13,76%, ტომატ-პასტა – 13,61%, კიტრის მწნილი – 10,85%, ხილის წვენები – 10,12%, თაფლი – 8,07%.

ბიზნეს სექტორში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიურმა ხელფასმა 2007 ლარს გადააჭარბა

2023 წლის III კვარტალში, ბიზნეს სექტორში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი 2.007.2 ლარს გაუტოლდა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით, 293 ლარით მეტია. ამის შესახებ საქსტატის მიერ გამოქვეყნებულ მონაცემებშია აღნიშნული.

მათივე ინფორმაციით, მათ შორის, ქალების ხელფასმა 1.537.1 ლარი შეადგინა, რაც იმას ნიშნავს, რომ გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით, გაზრდილია 2.19.4 ლარით.

რაც შეეხება საწარმოთა ზომის მიხედვით საშუალო თვიურ ხელფასს, შემდეგნაირია:

მსხვილი ბიზნესი – 2 035.7 ლარი; საშუალო ბიზნესი – 2 292.8 ლარი; მცირე ბიზნესი – 1 781.6 ლარი.

ოქროს ფასმა ისტორიულ, 2 135-დოლარიან ნიშნულს მიაღწია

4 დეკემბერს, ოქროს ფასმა ახალ რეკორდს მიაღწია. ორშაბათს, აზიურ ბირჟებზე ვაჭრობის შედეგად, ერთი უნცია ოქროს ფასი 2 135 დოლარს გაუტოლდა. ინფორმაციას Yahoo News-ი ავრცელებს.

ოქროს ფასის ზრდა გამოწვეულია ინფლაციის შემცირებით და შემდგომი შესაძლო სპეკულაციებით. ღირებულების ამგვარი ტემპებით აწევა ასევე დააჩქარა ისრაელი-პალესტინის ომის დაწყებამ, ვინაიდან ინვესტორებმა და ტრეიდერებმა მასობრივად დაიწყეს ოქროს შესყიდვა, რადგან დოლარი დასუსტდა, ადამიანებს სანდო აქტივად კი ოქრო ევლინებათ.

ცნობების თანახმად, არსებობს იმის მოლოდინები, რომ აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემა შეამცირებს საპროცენტო განაკვეთს. ასევე აღსანიშნავია, რომ გასულ კვირას, აშშ-ის სარეზერვო სისტემის თავმჯდომარემ, ჯერომ პაუელმა განაცხადა, რომ იგი არ გეგმავს საბაზისო საპროცენტო განაკვეთის გაზრდას.

შეგახსენებთ, რომ ოქრო მიმდინარე წლის ოქტომბრის დასაწყისიდან ძვირდება და მასზე ფასი ამ დრომდე 16 პროცენტითაა გაზრდილი.

რუსეთიდან ფქვილის ექსპორტიორებში საქართველო მეორე ადგილზეა – რა რაოდენობის პროდუქტს ვყიდულობთ



2023 წელს, იანვარ-ოქტომბერში, რუსეთიდან ფქვილის ექსპორტიორებს შორის, საქართველო მეორე ადგილზეა.

„ინტერფაქსის“ ცნობით, 2023 წლის 10 თვის განმავლობაში რუსეთმა 990 ათასი ტონა ხორბლის და ხორბალი-ჭვავის ფქვილი გაიტანა, რაც წინა, მთელი წლის ექსპორტის მოცულობასაც აჭარბებს. აქედან, ყველაზე მეტი, 150 ათას ტონაზე მეტი ერაყში, ხოლო, 120 ათას ტონაზე მეტი საქართველოში გაიგზავნა.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, ოფიციალურად წელს საქართველომ (იანვარ-ოქტომბერში), რუსეთიდან 121.643 ტონა (32,554 მლნ აშშ დოლარი) ფქვილი შემოიტანა, რაც მთლიანი იმპორტის 98%-ზე მეტია. 2023 წლის 10 თვეში, საქართველომ ჯამში 123.700 ტონა (33,848 მლნ აშშ დოლარი), პროდუქტი შეიძინა.

თუმცა აღსანიშნავია, რომ საქართველოში რუსული ფქვილის იმპორტის წლევანდელი მაჩვენებლები, 25 ათას ტონაზე მეტით ჩამორჩება შარშანდელ მონაცემებს. კერძოდ, 2022 წლის იანვარ-ოქტომბერში, საქართველომ რუსეთისგან 147.098 ტონა (55,605 მლნ აშშ დოლარი) პროდუქტი შეიძინა.

ფქვილის იმპორტის შემცირების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი კი საქართველოს მთავრობის ის გადაწყვეტილება გახდა, რომლის მიხედვითაც პროდუქტის შემოტანაზე დროებითი საიმპორტო გადასახადი დაწესდა. ახალი გადასახადის დაწესება კი ხელისუფლებამ ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობით ახსნა.

მთავრობის დადგენილებით, მიმდინარე წლის 10 ოქტომბრიდან 200 კგ-ზე მეტი ოდენობის ხორბლის ფქვილის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში გაფორმებისას, იმპორტიორს ყოველ კილოგრამზე 0.25 ლარის გადახდა უწევს. ეს იმას ნიშნავს, რომ 1 ტონა ხორბლის ფქვილის იმპორტის გადასახადი 250 ლარამდე გაიზარდა. 12 ივნისიდან (მაშინ, როდესაც ეს გადასახადი პირველად დაწესდა) 10 ოქტომბრამდე 200 ლარს შეადგენდა. ამავე დადგენილების მიხედვით, ფქვილის იმპორტზე გადასახადი 2024 წლის 1-ელ მარტამდეა დაწესებული.

რომში ივერიის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატის ასლი დაიდგა

რომში, წმინდა პეტრეს ბაზილიკასთან, ვატიკანის ბაღში ივერიის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატის ასლი დაიდგა.

ღონისძიებაში, რომელიც პალაცო კანჩელარიაში გაიმართა, სამების კათედრალის საპატრიარქო გუნდის ნაწილმა მიიღო მონაწილეობა. ამავე დღეს საქართველოს ელჩის ქეთევან ბაგრატიონის მოღვაწეობისადმი მიძღვნილი საღამოც ჩატარდა. სამების საპატრიარქო გუნდმა ქართული საგალობლები და ხალხური სიმღერები შეასრულა.

ვატიკანში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს საპატრიარქოს დელეგაციები იმყოფებოდნენ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

„მოხუცი ქალი საფენებში გახვეულ ჩვილს მაწვდის. ბავშვს ყელზე ცელოფანის პარკი აქვს ჩამოკიდებული“

ინტერვიუ ომის ვეტერან, პოლკოვნიკ დოდო გუგეშაშვილთან, რომელიც ჟურნალ „გუმბათში“ გამოქვეყნდა, საუბარი აფხაზეთის დაკარგვის ბოლო ტრაგიკულ დღეებს შეეხება.

დოდო გუგეშაშვილი:

– ჯაბა იოსელიანი ემზარ კვიციანს და გულრიფშის მხედრიონის უფროსს, ემზარ ჩხეტიანს უთანხმდება, ადგილობრივი ძალებით ბაგადის გვირაბების გამაგრებაზე, ტექნიკისა და შეიარაღების აღრიცხვაზე და საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანაზე. ახლა უმვე გზა კი არა, მხოლოდ ცოცვით მომავალი მანქანები და ზურგზე ტომარამოკიდებული ადამიანები ჩანან, თითქოს, ჰაერში მიდის კოლონა, მიწის ნაჭერსაც ვერ ვხედავ. ნორა კვიციანის სახლთან რაღაც პუნქტივითაა მოწყობილი. საჭმელი, ტანსაცმელი ლეიბები ურიგდებათ სოხუმიდან იძულებით გადმოდევნილ მოსახლეობას. თვითონ ნორა უნარმაზარი ქვაბიდან ოხშივარავარდნილ ცხელ კერძს სახლიდან გამოტანილ ჭურჭლებში ასხამს და ქალებსა და ბავშვებს აპურებს. ომარიშარასა და საკენს შორის სამაშველო პუნქტია. აქაც ლეიბები, საბნები, თბილი ადეალები ურიგდებათ ლტოლვილებს. უკანასკნელ ლუკმას იკლებენ სვანები, ყველა ოჯახს გზაზე გამოაქვს ყველაფერი, რაც სიკვდილის გადასალახად სიკვდილის გზით მიმავალ ასი ათასობით ადამიანს სასიცოცხლოდ სჭირდება. გზად მიმავალ ჯაბა იოსელიანს მოსახლეობა იმედის თვალით შესცქერის. იოსელიანი მათ ვერტმფრენებს ჰპირდება, როგორც კი ჭუბერიდან ბარში ჩავა. ახლაღა მახსენდება ტანკი, რომელიც წინა თვეებში, სოხუმიდან დალის ხეობაში ამოვიყვანეთ.

– რა გაქვთ მხედველობაში?

– როცა სოხუმიდან ტექნიკის უმისამართო გამოყვანის შეთანხმებას სასწრაფოდ ასრულებდნენ, დალის ხეობიდან სოხუმში ჩავედი შტაბში. იქ რუკა მომთხოვეს იმ ადგილებისა, სადაც ნაღმები მქონდა ჩალაგებული. მე კატეგორიული უარი ვთქვი და თბილისში დავუკავშირდი ბატონ ჯაბას. ორისთვის გასაგებ ენაზე იმაზედაც შევუთანხმდი, რომ ერთ ტანკს სოხუმიდან დალის (იგივე კოდორის) ხეობაში ავიყვანდი, გადავმალავდი „შავი“ დღისათვის (ტანკი ადგილზე ტრიალით იმარხავს თავს). ამ წინადადებაზეც დამთანხმდა ბატონი ჯაბა და რუკის არ მიცემაზეც. მე და ბიჭები მოტოციკლეტით მივგრიალდით ერთ-ერთ სამხედრო ნაწილთან. მეომრებს შევუთანხმდი, რომ თავდასხმის პატარა ინსცენირებას გავითამაშებდით, ტანკს წამოვიყვანდი, 2 საათის მერე ბიჭები სამხედრო ნაწილში განგაშს გამოაცხადებდნენ, მე უკვე ხეობის შუა წელში ვიქნებოდი. გეგმა აღვასრულეთ. ტანკი „დავმარხეთ“ ხეობაში. ახლა ალბათ ამ ტანკის „ამოყვანის“ აუცილებლობაა. „ჩემი“ ტანკი ყველაზე კარგად და „ნაპატიებად“ გამოიყურება, მეც მადლიერებით ვუტყაპუნებ ხელებს. ბიჭები ტანკს „პირით“ ხეობაში ამოსასვლელი გზისკენ აყენებენ. თუ ამოეხეტებიან, ხეობაშივე გაფანტავენ მათ საშინელ ფიზიონომიებს ჩვენები.

სამტრედიელი ჩორტიკას ვილისში ძლივს ამაქვს ტანი. ახლა ჭრილობები სუფთა სახვევებით მაქვს გადახვეული. ჯიბეშიც ერთი ბინტი მიდევს, სვანებმა გამომატანეს. ვილისში ორ ძუძუთა ბავშვიან ქალს და რამდენიმე მძიმედ დაჭრილ მხედრიონელს ვისვამ. მანქანას მხოლოდ სახურავზე აქვს „ბრეზენტის“ ნაგლეჯი. ბიჭები შუაში ისვამენ ქალებს, მანქანის უკანა ნაწილშიც საბარგულშიც ჩვენი ზურგებისკენ ზურგშექცეული ბიჭები სხდებიან, ასე იფარავენ ჩვილებს.

საკენი ერთ უზარმაზარ ბანაკს ჰგავს. სოხუმის თუ ჩასული თითქმის ყველა ბატალიონის (ან ბრიგადის) ბიჭებს ერთად მოუყრიათ თავი. ისე ცივა, საკუთარი კბილების ჭახა-ჭუხიც კი მესმის ხმაურ-ზუზუნში. გენწვიშთან ჯაბა იოსელიანი შევარდნაძის დაცვის რამდენიმე ბიჭს ხვდება. მათ სატელიტი აქვთ თან. შეჭირხლულ მინდორში გადის იოსელიანი, შევარდნაძეს უკავშირდება. „საჭიროა ვერტმფრენები ვითხოვოთ სომხებისაგან, აზერბაიჯანელებისაგან, თორემ ეს ხალხი იქ ჩაგვიწყდება“, უხსნის მდგომარეობას ბატონი ჯაბა. „ყველა ზომას ვხმარობთ, ალბათ, რაღაცას გავახერხებთ. ჩქარა ჩამოდის“, – ეუბნება შევარდნაძე იოსელიანს. „თქვენი იმედი გვაქვს, ბატონო ჯაბა. თქვენ თუ გვიშველით!“ – გაყინულ-გალიგვული ხალხი მიმართავს იოსელიანს.

ალიბაბა ჩადუნელი დაკარგულებს აღრიცხავს. „აბა შენ იცი, ვიდრე ყველას არ გაისტუმრებ, ფეხი არ მოიცალო“, – ეუბნება იოსელიანი (ჯ.იოსელიანის წიგნი „სამი განზომილება“) და ჭუბერისკენ განაგრძობს გზას. ყინვა, ქარაშოტი, თოვა ძლიერდება, რაც უფრო ზემოთ მივდივართ.

გზის პირას, ხალათის ამარა მოხუცი ქალი საფენებში გახვეულ ჩვილს მაწვდის. ბავშვს ყელზე ცელოფანის პარკი აქვს ჩამოკიდებული. პარკში, ქაღალდის ნახევზე, ჩვილის ვინაობა წერია. არ ვიცი, როგორ მოვიქცე. ვილისში ისე ყინავს, როგორც გარეთ. ბედად, თვითმცლელი მობობღდა. კაბინაში დაჭრილი ლაშა ქართველიშვილი (ბასტი) ზის ბავშვებთან და მოხუც ქალთან ერთად. ძარა სავსეა ქალებითა და ბავშვებით, რომლებიც გათოშილი მხედრიონელების ქურთუკებში არიან გახვეულები. მაისურის ამარა სხედან ბიჭები ძარაზე. გაყინული ავტომატები ჩაუბღუჯავთ გაყინული ხელებით. ბასტი კაბინიდან ჩამოდის, ძარაზე ბობღდება. საფენებში გახვეული ჩვილი კაბინაში შევაწოდე. შვებით ამოვისუნთქე. თვითმცლელის ძარაზე მყოფმა მამუკა ჯორჯიაშვილმა ჯემპრიც გაიხადა, ჩვილს შემოახვია. თვითონ ზურგზე გადაგლეჯილი მაისურის ამარა დარჩა. ისევ გზას მივუყვებით ზემოთ. ორი პატარა, რომლებიც ვილისში დაგვემგზავრნენ, თავგამოდებით გაჰკივიან. თითქოს [illegible]თანხმება აქვთ დადებული, როცა ერთი ატირდება, მეორეც აყვება. ბავშვების

ტირილიც კი მათბობს ამ ქარაშოტში, რომელიც უფრო და უფრო აუტანელი ხდება. სველი, გაწებილი შარვალი კანს მიხეხავს, ისეა გაყინული, სახვევებიც ლამისაა, ყინულის მასად გადაიქცეს. ფეხზე რაღაც ჯღანა-ჯღუნა „ტაპკები“ მაცვია (ორი თუ სამი ზომით დიდი, დათო შონიამ მიშოვა გზაში, ჩემი დაგლეჯილი ბოტასების სანაცვლოდ), ვიღაცის თხელი „კომუფლიაჟისნაირი“ ქურთუკი, წითელი ცხვირი, ლურჯი ტუჩები და რაც მთავარია, საყურეები. კარიკატურას ვგავარ. ჩემს თავზე თვითონ მეცინება. ფიქრები ჩემი შვილისკენ გამირბის. ალბათ, უკვე სძინავს თამაშისაგან დაღლილს. ოცნებაში ვხვევ ხელებს და გულში ვიხუტებ. სხეული მითბება. თითებსაც ვამოძრავებ, ფეხებსაც, გაშეშებულ კისერსაც, გრდემლის ჩაქუჩი რომ მირახუნებდა თავში, აღარც მტკივა. წინ რაღაც ჩოჩქოლია. მანქანიდან გადავდივართ და გაყინული თოვლის ზედაპირზე ჭრაჭუნით მივდივართ შეკრებილ ხალხამდე მე და ორი ბიჭი.

ცხვირ-პირ დასისხლიანებული კაცი ზის თოვლში, სახეში გამეტებით ურტყამს ქალი. გაშმაგებულ ქალს ძლივს ვაგლეჯ გალახულ კაცს. შეხედეთ, როგორ ყლაპავს პურს, კივილით მიხსნის ქალი. ვხვდები, რაცაა მომხდარი: პური მოუპარავს ბეჩავ კაცს. არც ვიცი, რა უნდა ვუთხრა, ან ვუთხრა კი რამე?! მანქანაში ვბრუნდებით. ისევ ცოდვიან გზას მივუყვებით ჩვენი მანქანის ჩოჩვით. თოვლის მთის გროვა არის გზაზე გარდიგარდმო ზულუქად გაწოლილი. ნამქერია ჩამოწოლილი.

– ცნობილია, ტრაქტორებიც გამოუყვანიათ სვანებს, ტრაქტორიც ვერ ერეოდა ყინულის უზარმაზარ გროვებსო...

– ჩვეულებრივი ტრაქტორები 5-6 საათს ანდომებდნენ ერთი პატარა მონაკვეთის გაჭრას. ახლა ყინულის გროვის გზიდან მოცილება ისეთივე ძნელი იყო, როგორც რკინის კონსტრუქციის დაშლა ფრჩხილების ქლიბით. გზადაგზა გაყინული ადამიანების ცხედრები მატულობს. ვცდილობ, თვალი ავარიდო. სადაც არ უნდა გავიხედო, ყველგან ცოდვის ტრიალია. ისმის გინების, ყვირილის, ტირილის ხმა. ვიღაც ქურდობს, ვიღაც გაწეული დახმარებისთვის ოქროს სცინცლავს გასამრჯელოდ სასაკლაოზე მიმავალ ადამიანებს, ვიღაც ლუკმას უყოფს მშიერს.

თოვლიანი ხის ტოტზე თავჩამომხრჩვალ მამაკაცს ვხედავ საცვლების ამარას, იქვე შუახნის მამაკაცი მის ტანსაცმელს საკუთარის ზემოდანვე იცვამს. თვალს ვარიდებ. არ ვიცი, საით გავიხედო, რამდენ საშინელებას ავარიდო თვალი. თვალები რომ დავხუჭო, შეიძლება, ქუთუთოები ზედვე მიმეყინოს.

გაბმულად აკივლდნენ ბავშვები. „მშია“, – მორიდებით ამბობს დედა. ხმას არ იღებს მეორე. „აჭამეთ“, – „ბრძნული“ რჩევა მივეცი. რძე გამიშრა, – ჩაწყვეტილი ხმით ამბობს დედა. მეორე ქალიც ამ დღეშია. ღმერთო, ოღონდ ეს არა! ჩურჩულით ვამბობ ჩემთვის და ღვთისმშობელს ვევედრები, ყველა პატარა, ყველას შვილი დაიფაროს. უცებ კარავს ვხედავ, შიგნით მოფუსფუსე ადამიანებს. გარეთ გამოდის ქაფქაფა რძით სავსე სათლით მთასავით აზიდული სვანი, მეორეს მდუღარე წყლით სავსე დიდი ჯამი გამოაქვს. ჩვენი ორი მშიერი ბინადარი რძით გაიტიკნენ, ბოთლითაც მოაქვთ საგზაოდ რძე დედებს გაბრწყინებული სახეებით. რა ცოტა და რა ბევრი ყოფნით ადამიანებს სიხარულისთვის, – კმაყოფილი ვფიქრობ.

ჯაბა იოსელიანს ვხვდებით. მანქანასთან მოდის, პატარებს ეფერება, – ამათზეა ნათქვამი, დაბადებისთანავე, წისქვილის ქვა არ დატრიალებიათ მხოლოდ თავზეო, – როგორღაც ნაღვლიანად ამბობს.

როგორ არ დაგიჯერეთ, როცა მოსახლეობას ეუბნებოდით, თუ რომელიმე ქალაქში ან სოფელში ნაცნობიც თუ გყავთ, წადით სოხუმიდან მათთანო, – მორიდებით ეუბნება ბატონ ჯაბას ბავშვის დედა. იღიმება ბატონი ჯაბა. ჟილეტს იხდის და თავისი ხელით მაცმევს გაყინულ ტანზე. „ოჩამჩირეში გავხურდებით ბრძოლაში, მერე დამიბრუნე“, – ჟილეტზე მეუბნება.

ისევ ვაგრძელებთ გზას. მეჩვენება, ჭუბერამდე კი არ მოკლდება, უსაშველოდ გრძელდება გზა. თოვლ-ყინვაში ჩაიჭედა ვილისი. ბიჭები გადმოდიან მანქანიდან, გაყინული ხელებით აწვებიან, ასე მიწოლგორებით მივლოფავთ კილომეტრებზე. გული მეწურება, ისე უჭირთ დაჭრილებს მანქანის აღმართ-აღმართ ამოგორება. ვხედავ, როგორ მიაჩეჩა კაცმა (ალბათ, მამამ) ბავშვი გვერდით მიმავალს, თვითონ კი ქვესკნელში გადაეშვა. თვალებზე ხელი ააფარეთ ბავშვს, ჩემი ყვირილი მე თვითონ მაკრთობს.

გზაზე გვარდიელი მხვდება. მიკითხვა-მოკითხვის მერე მიყვება გაგრის ამბებს, როცა სხვადასხვა პოზიციებზე მყოფნი კბილებით ვინარჩუნებდით იქაურობას. ერთმა ამბავმა მაინც ძალიან გამახალისა: გაგრაში, „ენერგეტიკში“, „თეთრი არწივის“ ბიჭებთან ადგილობრივი მამა-შვილი (ქართველები) მისულან: გროზნოდან გამოგზავნილ ჩეჩნებს „პალატაჩნი გარადოკი“ აქვთ, თავზე დაგაყენებთ, ყველანი წამოდით, ცოცხლად აიყვანთო. თან თურმე თავიანთ თავზე საუბრობენ, სეპარატისტებმა ჯილდო დააწესეს ჩვენს მოკვლაშიო.

შედცინა

ნერვული დაავადებების მკურნალობა ხალხური რეცეპტებით

შაკიკის დროს

– 20 გრამ კატაბალახას ფესვებს დაასხით ერთი ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი, დააფარეთ ხუფი და 15 წუთი გააცხელეთ წყლის აბაზანაში. შემდეგ 45 წუთის განმავლობაში გააგრილეთ და გაწურეთ (მოცულობა დაიყვანეთ 200 გრამამდე) უნდა მიიღოთ 2-3 კოვზი ჭამიდან 30 წუთის შემდეგ თავის ტკივილისა და შაკიკის დროს.

❖ ❖ ❖

– ჩაახალეთ ჭიქაში კვერცხი, დაუმატეთ მდუღარე რძე, სწრაფად აურიეთ და შესვით. ასე მოიქეცით რამდენიმე დღის განმავლობაში.

❖ ❖ ❖

– შეურიეთ წვრილ სახეხზე გახეხილი 150 გრამი პირშუშხა, 0,5 კგ ქერქიანი კურკაგამოცლილი დაქუცმაცებული ფორთოხალი, 300 გრამი შაქარი და 1 ლიტრი წითელი ღვინო. ხარშეთ თავდახურულ ჭურჭელში წყლის აბაზანაზე 1 საათი, შემდეგ გააციეთ, გაწურეთ. მიიღეთ 1/2 ჭიქა ჭამიდან 2 საათის შემდეგ.

რა შეამსუბუქებს ეპილეფსიას

❖ ❖ ❖

რევმატიზმების მკურნალობისათვის ფართოდ არის გავრცელებული არყის ხის ფესვები. აყენებენ არყის ხის ფესვების ნაყენს არაყზე ან სპირტზე და ახდენენ ამ ნაყენით შეზელვას. ამ ნაყენის მცირე რაოდენობით დალევაც შეიძლება.

❖ ❖ ❖

– თხილის ხე რომ მოიჭრება, უნდა დავყაროთ ერთ ადგილას და ვაცალოთ დალპობა, დალპობის პერიოდში ხეს უჩნდება სოკო. სწორედ ეს სოკო უნდა მოვკრიფოთ, გავახმოთ და ფხვნილად ვაქციოთ.

მიღების წესი: დანის წვერით აიღეთ ფხვნილი, გახსენით 50 გრამ რძეში, მოურიეთ და დალიეთ.

საკმარისია 10-15 გრამი ფხვნილი დილას და საღამოს.

❖ ❖ ❖

– ყვითელი ცხვირისსატეხელა სასარგებლოა ეპილეფსიური ავადმყოფებისათის ბრომთან და კოდეინთან ერთად. ამას ბეხტერევის მიქსტურას ეძახიან და მზადდება ასე: აიღეთ 6 გრამი ყვითელი ცხვირისსატეხელას ბალახი, დაასხით ერთი ჭიქა ანადუღარი წყალი. დააყოვნეთ, გაწურეთ, დალიეთ სუფრის კოვზით 3-4-ჯერ დღეში.

❖ ❖ ❖

– 2 ჩაის კოვზ დაქუცმაცებულ შავბალახას (ყვავილობის დროს გამხმარს) დაასხით 200 მლ ცივი ანადუღარი წყალი. დააყოვნეთ 2 საათი. მიიღეთ ნაყენი დღეში ოთხჯერ ჭამის წინ.

❖ ❖ ❖

– აიღეთ ერთი სუფრის კოვზი წვრილად დაქუცმაცებული ხმელი იორდასალამის ფესვი. დაასხით სამი ჭიქა ანადუღარი წყალი. დააყოვნეთ 30 წუთი მჭიდროდ თავდახურულ ჭურჭელში. მიიღეთ ჭამამდე 10-15 წუთით ადრე, სამჯერ დღეში თითო სუფრის კოვზი.

რევმატიზმის მკურნალობა

– აიღეთ კვერცხის ცილის, ძმრისა და სკიპიდარის თანაბარი ნაწილები. ჯერ შეურიეთ ცილა ძმართან (ვაშლის ძმარი არ გამოიყენოთ) და ურიეთ ერთი საათის განმავლობაში მანამდე, სანამ შემადგენლობა არ გასქელდება. შემდეგ მცირე ულუფებით დაუმატეთ სკიპიდარი, გულმოდგინედ მოურიეთ, მიღებული თეთრი ფერის მალამო შეიზილეთ მტკივნეულ ადგილებში დღე-ღამის განმავლობაში.

❖ ❖ ❖

– რაც შეიძლება ხშირად მიიღეთ ნიახურისგან დამზადებული სალათა.

❖ ❖ ❖

– ავიღოთ ყოველ ორ ლიტრ წყალზე 800 გრამი თივის ბრელო (უვარგისი თივა), ჩავყაროთ ჩითის ტომარაში და ვადუღოთ 30 წუთი. მიღებული ნახარში ჩავასხათ აბაზანაში ან კასრში, დავამატოთ ცხელი წყალი და ჩავსვათ ავადმყოფი შიგ. აბაზანას გადავაფაროთ ბრეზენტი ისე, რომ ავადმყოფს მხოლოდ თავი უჩანდეს (თავის ადგილი ამოვჭრათ). წყლის ტემპერატურა უნდა იყოს რაც შეიძლება მაღალი, რასაც ავადმყოფი გაუძლებს. აბაზანის მიღების ხანგრძლივობა 45 წუთიდან 1 საათამდეა. ასეთი აბაზანის მიღება შეუძლიათ გულით ჯანმრთელ ადამიანებს, გულით ავადმყოფებისათვის წყალში ჯდომის ხანგრძლივობა შეიძლება მხოლოდ 10 წუთი იყოს. მკურნალობის დროს უნდა მოვერიდოთ გაცივებასა და ორპირ ქარს. აბაზანის მიღების შემდეგ უნდა ჩავწვეთ ლოგინში. აბაზანის მიღება შეიძლება ყოველდღე ან ყოველ ორ დღეში ერთხელ.

ავდეევკის ალყაში მოქცევის შანსები შემცირდა

ავდეევკასთან ბრძოლები გრძელდება. უკრაინელმა მეომრებმა რამდენიმე წარმატებული კონტრშეტევა განახორციელეს და შედეგად ოკუპანტები ტორიკონის უღელტეხილიდან განდევნეს. რუსული მედიის განცხადებები, აქაოდა ტორიკონი დავიკავეთ და ავდეევკაც ცეცხლოვანი კონტროლის ქვეშ მოვაქციეთო, რბილად რომ ვთქვათ, გადაჭარბებულია.

უკრაინელმა ჯარისკაცებმა ასევე წარმატებული კონტრშეტევები განახორციელეს სპორნოესთან. შედეგად რუსებმა უკან დაიხიეს. უკრაინელებმა სპორნოეს მახლობლად რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. წარუმატებელი გამოდგა ოკუპანტების მცდელობა გაჭრილიყვნენ გორლოვკისაკენ. როგორც ცნობილია, გორლოვკა უკრაინელთა ცეცხლოვანი კონტროლის ქვეშაა. ვლადიმერ პუტინი აცხადებდა:

შესაძლოა ოპერაცია მართლაც დაიწყო, მაგრამ მისი შედეგი ნულოვანია. ოკუპანტებმა უდიდესი მარცხი იწვნიეს და იძულებულნი გახდნენ, უკან დაეხიათ. რუსი ჯარისკაცები ვერ შეაჩერა ვერც საკუთარმა ოფიცრებმა და ვერც როსგვარდიამ, რომელიც გაქცეულებს ზურგში ესროდა. ამრიგად, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ავდეევკის შტურმის მესამე ეტაპიც ჩავარდა. ქალაქის „კოტიოლში“ მოქცევის მცდელობებიც უფრო ნაკლებია, ვიდრე თუნდაც გუშინ იყო.

ქალაქი მარინკა აღარ არსებობს. მის ადგილას მხოლოდ ნანგრევებია. ქალაქის ნახევარს აკონტროლებენ რუსები, რომლებიც გააფთრებით ცდილობენ წინ წაიწიონ. მეორე ნახევარი უკრაინელთა ხელშია. მარინკაშიც მძაფრი ბრძოლებია.

უკრაინაში მიმდინარე ბრძოლებს აშშ-ის თავდაცვის მინისტრი, გენერალი ოსტინი გამოეხმაურა. მან აღიარა, რომ უკრაინა დაგვიანებით იღებს საბრძოლო მასალებს. ამაში მან თეთრი სახლის ზოგიერთი ჩინოვნიკი დაადანაშაულა.

ავდეევკასთან ბრძოლებმა აჩვენა, რომ საუბარი უკრაინელთა კონტრშეტევის ჩაშლის თაობაზე გადაჭარბებულია. ავდეევკასთან უკრაინელებმა არა მარტო მოიგერიეს რუსების თავდასხმები, არამედ კონტრშეტევაზეც გადავიდნენ და რამდენიმე სტრატეგიულად მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტი გაათავისუფლეს.

დანაკარგები ოკუპანტების რიგებში



რუსი ოკუპანტების რიგებში შემდეგი დანაკარგებია: ტანკები – 5.575; საბრძოლო ბრონირებული მანქანები – 10.396; არტილერია – 7.449; ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემები – 602; თვითმფრინავები – 323.

განადგურებულია – 332.810 ოკუპანტი.

აღსანიშნავია, რომ უკრაინელთა დანაკარგებია 55.000 ჯარისკაცი, მაგრამ მშვიდობიან მოსახლეობაში დიდი მსხვერპლია. თანახმად უკანასკნელი ინფორმაციისა, დაღუპულია 350.000 უკრაინელი მოქალაქე. აქედან უმრავლესობა მოხუცი და ბავშვია. 4 მილიონი ადამიანი კი იძულებული გახდა სამშობლო დაეტოვებინა.

ესტონეთიდან შესაძლოა რუსეთის მოქალაქეობის მქონე პირები გააძევონ



რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ზახაროვამ განაცხადა, რომ ბალტიისპირეთში, კერძოდ, ლატვიასა და ესტონეთში, ცხოვრობს რუსეთის ბევრი მოქალაქე. ისინი დისკრიმინაციას განიცდიან და ამის მოთმენა აღარ შეიძლება.

ამ განცხადებას უაღრესად აგრესიულად შეხვდნენ ესტონეთში. პრემიერმა კალასმა თქვა, რომ რუსეთის მოქალაქეობა აქვთ ესტონეთში მცხოვრებ რუსულენოვან ადამიანებს. მათი დეპორტაციაც აუცილებელია.

რუსი ექსპერტის სერგეი მარკოვის აზრით, კრემლი ბალტიისპირეთის, აგრეთვე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების წინააღმდეგ ე.წ. ჰიბრიდული ომის ტაქტიკას თუ გამოიყენებს. ეს იქნება პირველი დარტყმა ნატოზე.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

განცხადებები

● ოპერაციის გარეშე!!! საგვარეულო მცენარეული ნაკრების სიროფი: 1. „პლანტა“ – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზური, აუტოიმუნურიც); 2. „პლანტა-გლანდა“ – ჩირქოვანი გლანდები, ადენოიდები, ხვრინვა; 3. „პლანტა+“ – მასტოპათია (კვანძები), ფიბროადენომატოზული საშვილოსნო, მომატებული პროლაქტინი, უნაყოფობა. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● ფიტნეს ყავა!!! გასახდომი ყავა სამმაგი ეფექტით!!! აჩქარებს დაქვეითებულ მეტაბოლიზმს, აწესრიგებს პროლაქტინს! 1 ქილა – 1 თვის სამყოფი, გამდიდრებული ნალექიანი ყავა – 30 ლარი. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577 -52-88-41.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციების განკურნვა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

შიშველი ჯადოქარი შავი მაგიის დროს დაიჭირეს

ინდოეთის ოდიშას შტატის დასახლება ანგაპარდას მცხოვრებლებმა ჯადოქრები მამაკაცი და ქალი დაიჭირეს.

ღამით იმ ადგილის მახლობლად, სადაც ცხედრების კრემაცია ტარდება, ქალი და მამაკაცი შენიშნეს. შიშველ წყვილზე მაშინვე ეჭვი მიიტანეს, რომ ისინი შავი მაგიით იყვნენ დაკავებულები და რაღაც ცუდს აპირებდნენ დასახლების მცხოვრებლების წინააღმდეგ. ისინი დაიჭირეს, თოკებით გაკოჭეს და დაკითხეს. მამაკაცის თქმით, ქალს სურდა, რომ მისგან ჯადოქრობა ესწავლა. ის სხვა სოფელში ცხოვრობდა, მაგრამ მასთან ანგაპარდაში მივიდა რიტუალის შესასრულებლად, ვინაიდან იქ განხორციელდა მისი წინაპრების კრემაცია. რაში მდგომარეობდა რიტუალი, რომელიც მათ უნდა ჩაეტარებინათ, უცნობია. ამის შემდეგ დასახლების მკვიდრებმა ქალის ნათესავებს დაურეკეს და ადგილზე მისვლა მოსთხოვეს. სწორედ ამის შემდეგ შეიტყო პოლიციამ ინციდენტის შესახებ. სამართალდამცავები შემთხვევის ადგილზე მივიდნენ, გაკოჭილები ჩაიბარეს და საქმეზე გამოძიება დაიწყეს.

ამერიკაში გზატკეცილი შოკოლადით და კარამელით დაიფარა

აშშ-ში გზატკეცილის გარკვეული მონაკვეთი მოძრაობისთვის იმის გამო გადაკეტეს, რომ ტკბილეულით დატვირთული სატვირთო მანქანა გადაბრუნდა. ხუთშაბათს, 30 ნოემბერს, ამერიკის ოჰაიოს შტატში ჩქარობენული გზატკეცილი ორი სატვირთო ავტომობილი შეჯახების შემდეგ გადაკეტეს. ავტოავარიის შედეგად გზაზე ასეულობით შოკოლადის და კარამელის კოლოფი მიმოიფანტა. აღნიშნული ინციდენტი დაახლოებით დილის ექვს საათზე მოხდა. ამასთან, შოკოლადი იმდენი აღმოჩნდა, რომ ხელისუფლება იძულებული გახდა, გზატკეცილზე მოძრაობა გადაეკეტა და მანქანები ალტერნატიულ გზაზე გადაემისამართებინა. გზის საფარის გასაწმენდად შემთხვევის ადგილზე სახანძრო სამსახური გამოიძახეს. ავტოავარიის შედეგად არავინ დაშავებულა.

ძაღლმა გატაცებული ბავშვს საათ-ნახევარში მიაგნო

ინდოეთში პოლიციის ძაღლმა ქალაქ მუმბაიში გატაცებულ ექვსი წლის ბიჭს საათ-ნახევარში მიაგნო.

ხუთშაბათს, 23 ნოემბერს, ბიჭი ქუჩაში მეგობრებთან ერთად ფეხბურთის სათამაშოდ გავიდა და საღამოს სახლში აღარ დაბრუნებულა. მშობლები თავიდან თვითონ ცდილობდნენ ბავშვის მოძებნას და პოლიციას მხოლოდ მეორე დილით მიმართეს. სამართალდამცავებმა გადაწყვიტეს, დაკარგული ბიჭის ძებნაში დობერმანის ჯიშის ძაღლი, სახელად ლეო ჩაერთოთ. ძაღლს ბავშვის მაისურზე აყნოსინეს კვალის ასაღებად, გაუშვეს და უკან მიყვნენ.

მალე ლეომ ბიჭის კვალი აიღო და მას სახლიდან დაახლოებით 500 მეტრში, ნანგრევებში მიაგნო. ბიჭის პოვნას ძაღლის დახმარებით სულ საათ-ნახევარი დასჭირდა. ბიჭი მაშინვე მშობლებს დაუბრუნეს, ის არ დაშავებულა.

მოგვიანებით გაირკვა, რომ ბავშვი უცნობმა პირებმა გაიტაცეს, თუმცა მალე ისინი პანიკაში ჩავარდნენ და ნანგრევებში მიატოვეს. პოლიცია ბავშვის გამტაცებლების ვინაობის დადგენას ცდილობს.

ოჯახი გოგონას ცეკვის გამო გაუსწორდა

პაკისტანში ოჯახი გოგონას უცნობ ახალგაზრდა ყმაწვილთან ცეკვის გამო გაუსწორდა.

ეს მას შემდეგ მოხდა, როდესაც ინტერნეტში გავრცელდა ვიდეორგოლი, რომელშიც ხაიბერ-პახტუნხვას პროვინციის მკვიდრი 18 წლის გოგონა უცნობ ახალგაზრდა მამაკაცთან ერთად ცეკვავს. ვიდეოში გოგონას დაქალიც ჩანს.

როგორც ადგილობრივ პოლიციაში განაცხადეს, როდესაც ვიდეორგოლი პოპულარული გახდა, სოფლის, სადაც გოგონა ცხოვრობდა, საგვარეულო საბჭო შეიკრიბა და მას და მის დაქალს განაჩენი გამოუტანა. მეორე გოგონას გადარჩენა სამართალდამცავებმა მოახერხეს, ხოლო ახალგაზრდა მამაკაცი, რომელთანაც ცეკვავდა გოგონა, ჯერ არ უპოვიათ.

ოჯახის წევრები, რომლებიც გოგონასთვის ანგარიშის გასწორებაში მონაწილეობდნენ, დაპატიმრებული არიან. მოკლული გოგონას დაქალმა სახლში დაბრუნება გადაწყვიტა და განაცხადა, რომ მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

შედეგები

3 დეკემბერი

ფეხბურთი

ინგლისი. ჩემპიონიგა

ბორნმუთი-ასტონ ვილა	2:2
ვესტ ჰემი-კრ.პალასი	1:1
ლივერპული-ფულემი	4:3
ჩელსი-ბრაიტონი	3:2
სიტი-ტოტენჰემი	3:3

სატურნირო ცხრილი:

1.არსენალი	14	10	3	1	29-11	33
2.ლივერპული	14	9	4	1	32-14	31
3.სიტი	14	9	3	2	36-16	30
4.ასტონ ვილა	14	9	2	3	33-20	29
5.ტოტენჰემი	14	8	3	3	28-20	27
6.ნიუკასლი	14	8	2	4	32-14	26
7.მანჩესტერი	14	8	0	6	16-17	24
8.ბრაიტონი	14	6	4	4	30-26	22
9.ვესტ ჰემი	14	6	3	5	24-24	21
10.ჩელსი	14	5	4	5	25-22	19
11.ბრენფორდი	14	5	4	5	22-19	19
12.კრ.პალასი	14	4	4	6	14-19	16
13.ვულვზი	14	4	3	7	19-25	15
14.ფულემი	14	4	3	7	16-26	15
15.ნოტინგემი	14	3	4	7	16-22	13
16.ბორნმუთი	14	3	4	7	16-30	13
17.ლუთონი	14	2	3	9	13-26	9
18.ევერტონი	14	5	2	7	15-20	7
19.ბარნლი	14	2	1	11	15-32	7
20.შეფილდი	14	1	2	11	11-39	5

შენიშვნა:

ევერტონს დაკლებული აქვს 10 ქულა

ინგლისი. ჩემპიონიგა

ბრისტოლი-ნორვიჩი	1:2

გერმანია. ბუნდესლიგა

მაინცი-ფრაიბურგი	0:1
ლევერკუზენი-დორტმუნდი	1:1
აუგსბურგი-აინტრახტი	2:1

სატურნირო ცხრილი:

1.ლევერკუზენი	13	11	2	0	38-11	35
2.ბაიერნი	12	10	2	0	43-9	32
3.შტუტგარტი	13	10	0	3	33-15	30
4.ლაიფციგი	13	8	2	3	31-13	26
5.დორტმუნდი	13	7	4	2	26-20	25
6.ჰოფენჰაიმი	13	6	2	5	25-23	20
7.აინტრახტი	13	4	6	3	19-15	18
8.ფრაიბურგი	13	5	3	5	16-23	18
9.აუგსბურგი	13	4	5	4	23-25	17
10.გლადბახი	13	4	4	5	27-28	16
11.ვოლფსბურგი	13	5	1	7	18-24	16
12.ბოხუმი	13	2	7	4	14-26	13
13.ვერდერი	13	3	2	8	18-27	11
14.ჰაიდენჰაიმი	13	3	2	8	18-28	11
15.კიოლნი	13	2	3	8	10-24	9
16.დარმშტადი	13	2	3	8	15-34	9
17.მაინცი	13	1	5	7	12-26	8
18.უნიონი	12	2	1	9	12-27	7

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ჰერტა-ელვერსბერგი	5:1
კარლსრუე-ჰანზა	2:2

კარლსრუეს მე-2 გოლი ბუდუ ზივზიავაძემ გაიტანა

პადერბორნი-ჰანოვერი	1:0

ესპანეთი. ჰიმეჰა დივიზიონი

მალიორკა-ალავესი	0:0
ალმერია-ბეტისი	0:0
სევილია-ვილიარეალი	1:1
ბარსელონა-ატლეტიკო	1:0

სატურნირო ცხრილი:

1.რეალი	15	12	2	1	33-9	38
2.ხირონა	15	12	2	1	34-18	38
3.ბარსელონა	15	10	4	1	28-14	34
4.ატლეტიკო	14	10	1	3	30-13	31
5.ბილბაო	15	8	4	3	30-18	28
6.სოსიედადი	15	7	5	3	26-18	26
7.ბეტისი	15	6	7	2	18-16	25
8.ლას პალმასი	15	6	3	6	13-13	21
9.ვალენსია	15	5	4	6	17-20	19
10.ხეტაფე	15	4	7	4	17-20	19
11.რაიო	15	4	7	4	16-22	19
12.ვილიარეალი	15	4	4	7	22-26	16
13.ალავესი	15	4	4	7	14-19	16
14.ოსასუნა	15	4	3	8	17-25	15
15.სევილია	14	2	7	5	20-20	13
16.მალიორკა	15	1	8	6	13-20	11
17.კადისი	14	2	5	7	11-21	11
18.სელტა	14	1	5	8	14-24	8
19.გრანადა	15	1	4	10	19-35	7
20.ალმერია	15	0	4	11	16-37	4

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ანდორა-უესკა	1:0
ალკორკონი-ელჩე	0:2
მირანდესი-რასინგი	0:0
ფეროლი-ალბასეტე	5:4
ამორებიეტა-ბურგოსი	0:1

იტალია. სერია ა

ლეჩე-ბოლონია	1:1
უდინეზე-ვერონა	3:3
ფიორენტინა-სალერნიტანა	3:0
სასუოლო-რომა	1:2
ნაპოლი-ინტერი	0:3

სატურნირო ცხრილი:

1.ინტერი	14	11	2	1	33-7	35
2.იუვენტუსი	14	10	3	1	22-9	33
3.მილანი	14	9	2	3	24-15	29
4.რომა	14	7	3	4	28-16	24
5.ნაპოლი	14	7	3	4	26-17	24
6.ფიორენტინა	14	7	2	5	23-17	23
7.ბოლონია	14	5	7	2	16-11	22
8.ლაციო	14	6	2	6	15-15	20
9.ატალანტა	13	6	2	5	21-13	20
10.მონცა	14	4	6	4	15-14	18
11.ფროზინონე	14	5	3	6	20-24	18
12.ლეჩე	14	3	7	4	16-19	16
13.ტორინო	13	4	4	5	10-16	16
14.სასუოლო	14	4	3	7	21-26	15
15.ჯენოა	14	4	3	7	15-19	15
16.უდინეზე	14	2	8	4	12-20	14
17.ემპოლი	14	3	2	9	9-26	11
18.ვერონა	14	2	4	8	12-21	10
19.კალიარი	14	2	4	8	13-26	10
20.სალერნიტანა	14	1	5	8	10-28	8

იტალია. სერია ბ

ბრეშა-სამპდორია	3:1
ზიუდტიროლი-კომო	0:1
ლეკო-ბარი	1:0

საფრანგეთი. ლიგა 1

ლე ავრი-პსჟ	0:2
ბრესტი-კლერმონი	3:0
მონაკო-მონპელიე	2:0
ტულუზა-ლორიანი	1:1
ლილი-მეცი	2:0
მარსელი-რენი	2:0

სატურნირო ცხრილი:

1.პსჟ	14	10	3	1	36-11	33
2.ნიცა	14	8	5	1	14-5	29
3.მონაკო	14	8	3	3	29-19	27
4.ლილი	14	7	5	2	19-11	26
5.რეიმსი	14	7	2	5	20-19	23
6.ლანსი	14	6	4	4	19-15	22
7.ბრესტი	13	6	3	4	17-14	21
8.ნანტი	14	5	3	6	18-23	18
9.მარსელი	13	4	5	4	15-14	17
10.ლე ავრი	14	3	7	4	12-15	16
11.მეცი	14	4	4	6	15-22	16
12.რენი	14	3	6	5	19-19	15
13.მონპელიე	14	3	5	6	17-20	13
14.ტულუზა	14	2	7	5	14-18	13
15.სტრასბური	13	3	4	6	11-18	13
16.ლორიანი	14	2	6	6	18-25	12
17.კლერმონი	14	2	4	8	9-21	10
18.ლიონი	13	1	4	8	11-24	7

ნიდერლანდები. ეროვნული დივიზიონი

ფეინოორდი-პსვ	1:2
იგლზი-ტვენტე	1:3
ნაიმეგენი-აიაქსი	1:2
უტრეხტი-ალკმაარი	1:1

ჰოხტუგალია. ჰიმეჰა ლიგა

ბრაგა-ეშტორილი	3:1
მორეირენშე-ბენფიკა	0:0
ბოავიშტა-არუოკა	0:4

ბელგია. ა დივიზიონი

გენკი-გენტი	2:2
მეხელენი-სტ.ტრუიდენი	0:2
ბრიუგე-სტანდარდი	2:0
სენ ჟილუა-სერკლი	2:1

თურქეთი. სუპერლიგა

ქაშიმფაშა-გაზიანთები	4:2
ტრაბზონი-ქაისერი	0:1
ანკარაგიუჯიუ-ბეშიქთაში	1:1

ავსტრია. ბუნდესლიგა

ლინცი-შტურმი	1:1
ზალცბურგი-ვოლფსბერგერი	1:0
აუსტრია-ლინცერი	0:0

შოტლანდია. ჰიმეჰერლიგა

სტ.ჯონსონი-სელტიკი	1:3
რეინჯერსი-სტ.მირენი	2:0
ჰიბერნიანი-აბერდინი	2:0

დანია. სუპერლიგა

ლუნგბიუ-სილკებორგი	2:0
ოდენსე-ნორდსიელანდი	1:1
ბრონდბიუ-ვიდორვე	4:0
კოპენჰაგენი-ორხუსი	1:2

ნორვეგია. ელიტსერია

ბოდო-სარპსბორგი	2:0
ვიკინგი-რუსენბორგი	1:5
ვოლერენგა-ტრომსო	1:1
მიოლდე-ჰამ კამი	1:1
ოდი-ალესუნდი	4:1
სანდერფიორდი-ლილესტრიომი	1:0
სტრომგოდსეტი-ბრანი	3:0
ჰაუგესუნდი-სტაბეკი	3:0

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სუპერლიგა აირია — ყველა ყველას უგებს

გაუ-დელტა 79:88
(26:26; 14:18; 25:29; 14:15)

გურჯაანის დელტა სუპერლიგის ერთადერთი გუნდია, რომელსაც ჯერ არც ერთ ტურში არ დაუსვენია. 8 ტურის შემდეგ კი, კახურ გუნდს ექვსი გამარჯვება აქვს და ცხრილში ლიდერია.

ირაკლი ხოშტარიას განვრთნილი გუნდის მეტოქე ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის გუნდი გაუ გახლდათ, რომელთანაც წინა ტურში კიდევ ერთ ლიდერ თსუ-ს ფეხი დაუცდა. გურჯაანელებმა წაფორხილება არ დაუშვეს და გაუ-ს შეუპოვარი თამაშის მიუხედავად, გამარჯვებას მიაღწიეს – 88:79.

არადა, დავით როგავას განვრთნილი გუნდი მიზანთან ახლოს იყო. ბოლო პერიოდის მიწურულამდე გაუ გურჯაანელებს უძალიანდებოდა, მაგრამ დანაკლისმა, რომელიც ამ გუნდმა თსუ-სთან მატჩში განიცადა, მაინც თავისი გაუტანა. გაუ-ს არ ეყო ძალა, ბევრად დაბალანსებული დელტას დასამარცხებლად. უნივერსიტეტელებს აკლდათ ეროვნული ნაკრების უკანახაზელი ლუკა ლიკლიკაძე, რომელმაც თსუ-სთან მოგებულ შეხვედრაში აქილევსის მყესი გაიწყვიტა და გადატანილი ოპერაციის შემდეგ სარეაბილიტაციოდ მთელი სეზონი დასჭირდება.

თამაში თანაბრად დაიწყო და პირველი პერიოდი 26:26 დასრულდა. ამის შემდეგ გურჯაანელები ნელა, მაგრამ სტაბილურად ლიდერებდნენ. ხოშტარიას გუნდის წევრები დაცვაში კარგად ირჯებოდნენ, სწრაფ შეტევებსაც ახორციელებდნენ და ამაში ფეხმარდ გუნდელებს კარგად ჰყვებოდა ტანმაღალი ბექა ბექაური. როგორც სწრაფი, ისე პოზიციური, კომბინაციური შეტევებიდან ბექაური უხვად ითვლიდა ქულებს და საბოლოოდ გამარჯვებაშიც სოლიდური წილი დაიდო – 24 ქულა, 6 მოხსნა, 2 დაფარება.

გურჯაანელთა უპირატესობამ ორნიშნა რიცხვს ბოლო პერიოდის ახალდაწყებულზე მიაღწია და ეს ამ შეხვედრაში ყველაზე დიდი სხვაობა იყო. დელტამ მოპოვებული უპირატესობა აღარ გაანიავა და გამარჯვებამდე ზედმეტი გართულებების გარეშე მივიდა.

ბექაურის კვალზე 17 ქულითა და 6 პასით ოთარ ფხაკაძე გამოირჩა; 16 ქულა ტერი კოლინსმა მიითვალა; გაუ-ში 27 ქულით მაიკლ რაითი გამოირჩა; 18 ქულა და 9 მოხსნა აიზია სმოლის ანგარიშზე დაგროვდა.

მარგვეთი-თსუ 84:100
(23:21; 20:24; 19:38; 22:17)

საქართველოს მოქმედი ჩემპიონი თსუ მოგების რელსებს დაუბრუნდა. წინა ტურში გაუ-სთან განცდილი პირველი მარცხის შემდეგ ლექსო ლაფანაშვილის გუნდმა რეაბილიტაცია შეძლო და სუპერლიგის ცხრილის ქვედა ნაწილში მყოფი მარგვეთი 100:84 დაამარცხა.

ზესტაფონის გუნდმა წინააღმდეგობის გაწევა მთელი პირველი ნახევარი და მესამე პერიოდის რამდენიმე წუთი შეძლო, რის შემდეგაც კახა ჯინჭარაძის, გიორგი ცინცაძის, ალექსანდრე ფევაძისა და სხვა თსუ-ელების გააზრებულ თამაშს ვერაფერი დაუპირისპირა. უნივერსიტეტელებმა კარგად გამოიყენეს სათადარიგოებიც და მესამე პერიოდში მეტოქე გატეხეს. ეს იმის მიუხედავად, რაც მარგვეთელთა ამერიკელმა უკანახაზელმა, მაიკლ მეისმა სამწუთიან მონაკვეთში გააკეთა. მეისმა ზედიზედ 4 შეტევაში სამქულიანი ჩააგდო, რასაც ორიანიც მოაყოლა და მესამე პერიოდის მე-4 წუთზე ანგარიში თანაბარი იყო – 57:57.

ასეთი რამ იშვიათად ხდება. მარგვეთის ტანმორჩილმა გამთამაშებელმა არასრულ 3 წუთში 14 ქულა მიითვალა, რითაც სტუდენტთა აღზევება მცირე ხნით დააცხრო. მესამე პერიოდის დარჩენილ 6 წუთში თსუ-მ 26:5 იმარჯვა, რითაც გამარჯვებულის ვინაობა გაარკვია.

მართალია, მაიკ მეისმა ისევ გაიბრძოლა თავისი შორი სროლებით, მაგრამ მარგვეთი მეტოქემდე 10 ქულაზე ახლოს ვეღარ მივიდა. თსუ-მ მეხუთე გამარჯვება მიითვალა, პასივში კი, სუპერლიგაში ყველაზე ნაკლები – ერთი მარცხი აქვს და დაკარგული ქულებით ლიდერობს.

გამარჯვებულთაგან საუკეთესო იყო კახა ჯინჭარაძე, რომელმაც 29 ქულა, 6 მოხსნა, 5 პასი და თითო ჩაჭრა-დაფარება მიითვალა; ფევაძის ანგარიშზე 13 ქულა, 9 მოხსნა და 5 პასი დაგროვდა; 11-11 ქულა ცინცაძემ, კემერონ კრენსტონმა და ნოდარ გოგოძემ დააგროვეს; მარგვეთში საუკეთესო მაიკლ მეისი იყო – 37 ქულა, 5 პასი, 4 მოხსნა; 22 ქულა და 15 მოხსნა ტაიშონ კროუფორდის ანგარიშზე დაგროვდა.

რუსთავი-ბათუმი 89:96
(28:23; 17:23; 24:26; 20:24)

ანატოლი ბოისას გაწვრთნილმა რუსთავმა ბათუმს უმასპინძლა. ორივე გუნდს 3 მოგება და 3 მარცხი ჰქონდა, ცხრილის შუაში გვერდი-გვერდ იყვნენ. შესაბამისად, შედეგს ორივესთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

წინა ტურში ბათუმელებს შინ რაშთან ჰქონდათ წაგებული, ხოლო რუსთავმა თავისი შეხვედრა გურჯაანში, დელტასთან დათმო. რეაბილიტაცია ორივე მათგან ესაჭიროებოდა, მით უფრო, რომ რუსთავსაც და ბათუმსაც მინიმუმ ოთხეულში მოხვედრის პრეტენზია აქვთ. თამაშიც შესაბამისად დაძაბული გამოვიდა. რუსთავის დარბაზი, ცხადია, სავსე იყო და საკუთარ გუნდს მხურვალედ ქომაგობდა.

ბათუმი მასპინძლებს თავიდანვე მაგრად დაუდგა. ბუბა ბერიშვილის გუნდი რუსთავს სისწრაფეშიც აჰყვა და შორ სროლებში აჯობა კიდეც. ქვემოქართლელებს უპირატესობა მხოლოდ ფარქვეშ ჰქონდათ – მათი ამერიკელი ცენტრი, სეთ მაქსველი ფაქტობრივად შეუჩერებელი იყო და ამ მატჩში დაგროვილი 36 ქულით მიმდინარე სუპერლიგის რეკორდს ქულით მიუახლოვდა.

რომ არა პერიმეტრიდან სიზუსტე, ბათუმელები რუსთაველებს ვერ გააჩერებდნენ. პირველი პერიოდი რუსთავმა 28:23 მოიგო და სხვაობა უფრო დიდი იქნებოდა, რომ არა რევაზ როგავას სამქულიანები. მეორე პერიოდიდან ზღვისპირელებმა პოზიციური თამაშიც დაალაგეს და დიდი შესვენებისთვის 5-ქულიანი ჩამორჩენა მინიმალურ, მაგრამ მაინც ლიდერობად აქციეს – 46:45.

მესამე პერიოდიდან თანაბარი ბრძოლა წავიდა. ვერც ერთი გუნდი ხელჩასაჭიდი ლიდერობის მოპოვებას ვერ ახერხებდა. ძირითადად ბათუმი ლიდერობდა. ბოლო პერიოდში წარმატების ისარი ზღვისპირელებისკენ კიდევ უფრო გადაიხარა და ამის მიზეზი ის სამქულიანები გახლდათ, რომლებიც რუსთაველთათვის სრულიად მოულოდნელი იყო. სეთ მაქსველთან ფარქვეშ თამაშში ხეირი რომ ვერ ნახა, ვახტანგ ქადარია პერიმეტრზე აიწია და 2 უმნიშვნელოვანესი სამქულიანი ჩააგდო.

ბოლო წუთებზე სწორედ ქადარიას და როგავას სამქულიანებით ბათუმი წინ ისე გაიჭრა, დარჩენილ მცირე დროში რუსთაველთათვის მიუწვდომელი გახდა. საბოლოოდ შეხვედრა აჭარული კლუბის გამარჯვებით – 96:89 დასრულდა.

ბათუმელთა გამარჯვებაში 19-19-ქულიანი წილი ქადარიამ და როგავამ დაიდეს; 15-15 ქულა ოთარ ბულიავამ და დაველ რობიმ მიითვალეს; რუსთავში 36 ქულითა და 16 მოხსნით საუკეთესო იყო სეთ მაქსველი; 21 ქულითა და 12 პასით დემარ კინგი გამოირჩა.

რაში-ივერიონი 78:65
(25:19; 20:11; 15:21; 18:14)

ეს გახლდათ სუპერლიგის დებიუტანტი გუნდების მატჩი, რაც შეხვედრას თავისთავად ინტერესს და ინტრიგას მატებდა. ამასთან, აქამდე ორივე გუნდს 2-2 გამარჯვება ჰქონდა და მესამეც მოპოვებას ერთმანეთში ცდილობდნენ.

ივერიონმა წინა ტურში გორში გათამაშების ერთ-ერთ ლიდერ ქუთაისს მოუგო, რითაც საკუთარი პოტენციალი კიდევ ერთხელ გამოავლინა. ამის გათვალისწინებით, დიმიტრი ჯაკობოვის გაწვრთნილი შიდაქართლური გუნდი თბილისში, რაშთან მოსაგებად ჩავიდა. გორის გუნდის ამბიციას ნაყოფი არ გამოულია, რადგან ბესიკ ლეჟავას გაწვრთნილმა გუნდმა სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა.

ჯერ ფიტყვია, რომ ახალგაზრდა ტრანსფერმა მატჩის ბედი გადაწყვიტაო, თუმცა რაშის ახალწვეულმა, ევან მილიგენმა გამარჯვებაში სოლიდური წილი დაიდო. მილიგანი საქართველოში შარშანწინ, ა ლიგის ასტრალში თამაშობდა და საკუთარი მაღალი კლასი ყველას დაუმტკიცა. მისი გარჯა კარგად ახსოვდათ რაშის სამწვრთნელო შტაბში და როცა ეს მოთამაშე სატრანსფეროდ ხელმისაწვდომი გახდა, უმალ გუნდში უხმეს.

მილიგენი თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და რაშს ისეთ დროს შეაშველა ქულები, როცა გუნდმა უმნიშვნელოვანესი გაქცევები მოაწყო. საბოლოოდ ევანის ანგარიშზე 14 ქულა და 4 მოხსნა დაგროვდა. რაშმა კი, პირველი პერიოდი 25:19 რომ მოიგო, მას შემდეგ მეტოქე ამ სხვაობაზე ახლოს აღარ მიუშვია. მილიგანთან ერთად რაშის შემადგენლობაში სანდრო სანაძე გამოირჩა, რომელმაც 21 ქულით, 9 მოხსნითა და 3 პასით მატჩის საუკეთესო შედეგი დააფიქსირა.

რაშმა 78:65 გაიმარჯვა და სუპერლიგის ცხრილის შუაში დამკვიდრდა, ივერიონი კი კავკასიასა და მარგვეთთან ერთად ცხრილის ბოლოში ადგილებს იყოფს.

ქუთაისი-კავკასია 82:83
(28:20; 25:15; 22:28; 7:20)

ტური ქუთაისში საოცარი მატჩით დასრულდა. ბექა წივწივაძის განვრთნილი კავკასია, რომელიც მე-2 პერიოდის ბოლო წუთზე 20 ქულით – 33:53 აგებდა, მასპინძელ ქუთაისს თამაში 83:82 მოუგო.

მართალია, ქუთაისს აკლდა მიხეილ ბერიშვილი და აკაკი დვალიშვილი, მაგრამ ეს წაგების გასამართლებელ მიზეზად ვერ გამოდგება. კავკასიას ამ მატჩამდე 6-დან მხოლოდ 2 მოგება ჰქონდა, ქუთაისს კი პირიქით – 6-დან მხოლოდ 2 წაგება და თან კოტე ტუღუშის განვრთნილი გუნდი საკუთარ მოედანზე თამაშობდა.

კავკასიელებმა გუნდურად, დაბალანსებულად ითამაშეს, ხოლო გადამწყვეტ მომენტში ლევან გოგიჩაიშვილი უნდა გამოვარჩიოთ, რომელმაც 82:81 მოლიდერე ქუთაისს საფინალო სირენამდე 4.5 წამით ადრე ორქულიანი ჩაუგდო და მატჩის ბედი გადაწყვიტა. კავკასიელებმა უაღრესად საჭირო გამარჯვება მოიპოვეს და სუპერლიგის 3 წაგებით დაწყების შემდეგ ცხრილის შუაში გამაგრდნენ.

სატურნირო ცხრილი:

1.დელტა	8	6	2	689-605	14
2.ქუთაისი	7	4	3	657-630	11
3.გაუ	7	4	3	638-628	11
4.ბათუმი	7	4	3	583-574	11
5.თსუ	6	5	1	530-503	11
6.რაში	7	3	4	616-640	10
7.რუსთავი	7	3	4	645-650	10
8.კავკასია	7	3	4	588-611	10
9.ორბი	7	2	5	611-653	9
10.მარგვეთი	7	2	5	637-674	9
11.ივერიონი	6	2	4	471-497	8

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

შავი ლომი ევროპის სუპერ თასის ფინალშია

შავი ლომი (სან.)-იბერიანსი (ეს.) 41:0

შავმა ლომმა 2023 წლის რაგბი ევროპის სუპერ თასის ნახევარფინალში ესპანურ იბერიანსს სარეკორდო სხვაობით, 41:0 სძლია და ფინალში ზედიზედ მესამედ ითამაშებს.

ქართულმა ფრენჩაიზმა სუპერ თასის პირველი გათამაშება პორტუგალიური ლუზიტანუშის ძლევით მოიგო: შარშან ფინალში ისრაელის ჰითი დაამარცხა და მესამე ტიტულისთვისაც სამხრეთფრიკელი და კუნძულელი მორაგბეებით დაკომპლექტებულ მეტოქეს ეთამაშება.

ესპანური ფრენჩაიზი კი, სარეკორდო სხვაობით, 41:0 დაამარცხა. შავმა ლომმა მთელი თამაში სრული დომინაციით ჩაატარა. იბერიანსს ქულის აღების თითზე ჩამოსათვლელი შემთხვევები ჰქონდა, ისიც ჩვენი შეცდომების ხარჯზე, მაგრამ მასპინძლებმა დაზღვევაზე დაცვაში კარგად ითამაშეს.

ანგარიში პირველივე შეტევის შედეგად გაიხსნა. შავმა ლომმა ფაზები აკინძა, ფორვარდებს მოთმინებამ არ უმტყუნა, მერე ბურთი მარჯვენა ფრთაზე სწრაფად ჩათამაშდა და მეტობა აკა ტაბუცაძიემ შავი ლომის მაისურით თავის მე-20 ლელოდ აქცია. ლუკა მატკავამ გარდასახვის შემდეგ კარის წინიდან მარტივი 3 ქულაც აიღო.

თამაში რომ განახლდა, ტაბუცაძემ ფეხით მეტოქე თავის ლელოში დაიბრუნა, თავისუფალი დარტყმის შემდეგ კი, ლუკა ივანიშვილმა ხაზი „გაგლიჯა“, მერე მცველებს გვერდი აუარა, შეტევა მარცხენა ფრთაზე გააგრძელა და ალექსანდრე თოდუამ ლელოთი დაასრულა. გარკვეული დროით სტუმრები ჩვენს ნახევარზე დამკვიდრდნენ, მაგრამ განსაკუთრებული ხიფათის გარეშე, ტაიმის დასკვნით 10 წუთში კი ილია სპანდერაშვილმა გაიბრწყინა. დერეფნიდან სანდრო მამამთავრიშვილმა ილიასთან კარგი კომბინაცია გაითამაშა, სივრცეში შეუშვა და ბოჭვის მიუხედავად, ლელო გავიდა; შესვენების წინ სპანდერაშვილმა მცველი ფიზიკურ კონტაქტში თავის ნახევარზე დაჩაგრა და 55-მეტრიანი რეიდი ლამაზი, ინდივიდუალური ლელოთი დაასრულა – 27:0.

მეორე ტაიმში თამაში შედარებით დამშვიდდა. დებიუტში მატკავამ კარის წინ გაჭრა ხაზი, ლელო გარდასახა და უპირატესობა გაზარდა, 71-ე წუთზე კი მოლი ბექა მამრიკიშვილის ლელოთი დასრულდა და მატკავამ გარდასახვით საბოლოო შედეგი დააფიქსირა – 41:0.

ლევან მაისაშვილი:

– მოწინააღმდეგეს უდავოდ ყველა კომპონენტში ვაჯობეთ. მომწონს იბერიანსის ფორმატი, ისინი აქცენტს ახალგაზრდებზე აკეთებენ და დარწმუნებული ვარ, შემდგომ წლებში უფრო სახიფათო მოწინააღმდეგე იქნება. მესამედ გავედით ფინალში, თუმცა ჯერ ამ თამაშზე არ ვფიქრობთ. 22 დეკემბრამდე ჩელენჯ თასის თამაშები გველის და ახლა აქცენტი ამ ტურნირზე კეთდება.

ეს თამაში გარკვეულწილად გლოსთერთან მატჩის მოსამზადებელ ეტაპად განიხილებოდა. ყველამ იცის, რომ წინ სულ სხვა დონის და ინტენსივობის თამაში გველის. ამ დონის გუნდი საქართველოში იშვიათად ჩამოდის და ვეცდებით, ღირსეულად წარვდგეთ მის წინააღმდეგ. დაგვაკლდებიან ის მოთამაშეები, რომელთაც გრძელვადიანი ტრავმები აქვთ. შეიძლება დაგვიბრუნდეს მირიან მოდებაძე და გრიგორ ქერდიყოშვილი.

ეპცრ-ის ტურნირები იგივეა, რაც ფეხბურთში ჩემპიონთა ლიგა და ევროპის ლიგა. ამაზე მაღალი დონის ფორმატი საკლუბო რაგბიში არ არსებობს. ის, რომ ამ დონის თამაშს საქართველოში, საკუთარი გულშემატკივრის წინაშე გავმართავთ, ჩვენთვის ამაღელვებელია. გულშემატკივარმა კარგად იცის, რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენთვის და ქართული რაგბისთვის გულშემატკივარი. ვიმედოვნებ, უმაღლესი დონის თამაში სავსე ტრიბუნების წინაშე გვექნება.

მერაბ შარიქაძე:

– ნამდვილი გამოწვევები ახლა იწყება. ერთ კვირაში გლოსტერთან გვიწევს შეხვედრა და ჩვენ ვიცით, რომ შეგვიძლია ბოლომდე ვიბრძოლოთ. თავისთავად მეტოქე ფავორიტია, მაგრამ ჩვენ ვეცდებით, გულშემატკივრის თვალები და გულები გავახაროთ. იმდენი ხანია ჩელენჯ თასზე მოხვედრას ვითხოვთ, რომ პრინციპულად მნიშვნელოვანია, მეტოქეს სავსე ტრიბუნებით დავხვდეთ. ჩვენი მხრივ გპირდებით, რომ მოედანზე მაქსიმუმს გავილებთ.

სუპერ თასის ფინალში ობიექტურად ფავორიტები ვართ და აუცილებლად უნდა მოვიგოთ, რათა კითხვის ნიშნის ქვეშ არ დავაყენოთ ჩვენი ჩელენჯ თასში მონაწილეობა.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: დონ კიხოტის სატრფოს სახელი; 2. არანამდვილი, მაგრამ ნამდვილს მიმსგავსებული ნივთი; 3. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 4. ებრაელთა დიდი რელიგიური დღესასწაული; 7. ყურის ანთება; 9. იტალიური სამოდელო ფირმა; 12. შუშხუნა ღვინოების დასაყენებელი ჰერმეტული რეზერვუარი; 14. შუამავალი სავაჭრო გარიგებაში; 15. ნიადაგის გამაფხვიერებელი კულტივატორი; 17. ჩინელი ფილოსოფოსი; 20. ჩამქრალი ვულკანი თრიალეთის ქედზე.

თარაზულად: 5. წითელი ფერის მშრალი ქართული სამარკო ღვინო; 6. იტალიური რესტორანი; 8. ოპერის სიტყვიერი ტექსტი; 10. ნათესავის ძველი ქართული სახელწოდება; 11. მეფის მრჩეველი; 13. რაიმეს განხილვა შეფასების მიზნით; 16. ქართული გეოლოგიური სკოლის ფუძემდებელი; 18. პორტუგალიის ფეხბურთელთა გუნდი; 19. აგატა კრისტის ნაწარმოებთა პერსონაჟი, დეტექტივი; 21. ესპანური ავიაკომპანია; 22. ინგლისის ფეხბურთელთა გუნდი; 23. განცალკევებული საკანი საპატიმროში პატიმრის მკაცრი დასჯისთვის.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ვიადუკი; 2. მექისე; 3. მესაჯერო; 4. სატელიტი; 7. სიბელიუსი; 8. აკვარელი; 12. წუწუნავა; 14. ფილოლოგი; 16. წერაქვი; 17. კალმახი; 19. რემა; 20. ქაჯი.

თარაზულად: 5. ზიმბაბვე; 6. შვეიცარია; 9. სულორი; 10. სირაჯი; 11. ტვიში; 13. ტუმბო; 15. პიარნუ; 18. მესხი; 21. ქორწინება; 22. ქარაგმა; 23. კარწახი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ვიბრაცია; 2. ბოლტი; 3. მანსარდა; 4. ღალატი; 7. კრიჟი; 9. ჯუნტა; 12. აბასთუმანი; 14. ტეხური; 15. ილუმენი; 17. ბაირამი; 20. აკინი.

თარაზულად: 5. სიმბიოზი; 6. იზაბელა; 8. კეჩქერი; 10. ლაჟვარდი; 11. სინხუა; 13. ანალები; 16. ტალავერი; 18. თართი; 19. ლუვრი; 21. იკორთა; 22. ინსულინი; 23. ჰოფმანი.

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

5 დეკემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6943

ევრო — 2.9279

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.4126



100 რუსული რუბლი — 2.9642

ამინდის პროგნოზი 5 დეკემბრისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

იურგენ კლოპი: „ფულემთან საოცარი ხასიათი ვაჩვენეთ“

ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა ფულემთან გამარჯვების შემდეგ თქვა, რომ მისმა გუნდმა საოცარი ხასიათი აჩვენა და ის ამაყობს თავისი ფეხბურთელებით. ლივერპული 86-წუთზე 2:3 აგებდა, მაგრამ ორი გოლის გატანა შეძლო და საბოლოოს მატჩი 4:3 მოიგო:

– ჩვენ ყოველთვის ბოლო წამამდე ვიბრძვით და დღეს ეს კიდევ ერთხელ გამოჩნდა. ფულემმა კარგი შეხვედრა ჩაატარა, მაგრამ ვფიქრობ, რომ გამარჯვებას ვიმსახურებდით.

ჟოაო ფელიქსი: „ბარსელონა ჩემი სახლი გახდა“

ბარსელონამ საკუთარ მოედანზე ატლეტიკო დაამარცხა 1:0 და კატალონიურმა გუნდმა მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა. შეხვედრაში ერთადერთი გოლი ჟოაო ფელიქსმა გაიტანა და მან თქვა, რომ ბარსელონა მისთვის სახლივით გახდა და ის იქ ძალიან ბედნიერია:

– ბარსელონა არის გუნდი, სადაც თამაშზე ყოველთვის ვოცნებობდი და მიხარია, რომ ბარსელონას გამარჯვებების მოპოვებაში ვეხმარები. დღეს ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა მოვიგეთ და ასე უნდა გავაგრძელოთ.

გვარდიოლა: „მსაჯებზე საუბარი არ მსურს“

მანჩესტერ სიტიმ საკუთარ მოედანზე ტოტენჰემთან ფრედ 3:3 ითამაშა და მსაჯმა რამდენიმე საკამათო გადაწყვეტილება მიიღო სიტის წინააღმდეგ. შეხვედრის შემდეგ ხოსეპ გვარდიოლამ თქვა, რომ მას არ სურს მსაჯებზე საუბარი და ის არ აპირებს წუწუნს:

– მსაჯობაზე კომენტარს არ გავაკეთებ, რადგან ჩვენ დავუშვით შეცდომები, რომლებიც არ უნდა დაგვეშვა. მეტოქემ ამით ისარგებლა და ჩვენ მნიშვნელოვანი ქულები დავკარგეთ. მომავალში შეცდომები არ უნდა გავიმეოროთ.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

თორნიკე გოგრიჭიანი პოლონეთში მიიწვიეს

სამეფო უბნის თეატრის მსახიობი თორნიკე გოგრიჭიანი პოლონეთში მიიწვიეს.

მან პოლონელ, ბერძენ და უკრაინელ მსახიობებთან ერთად მონაწილეობა მიიღო მულტიმედიურ სპექტაკლში „საოცარი ახალი სამყარო“. სპექტაკლი კშიშტოფ გარბაჩევსკიმ ოლდოს ჰაქსლის ამავე სახელწოდების ნაწარმოების მიხედვით დადგა.

შეძლებს თუ არა მომავალში ამ სპექტაკლის ნახვას ქართველი მაყურებელი, ჯერჯერობით უცნობია.

ოტენის უნიკალურ აფთიაქში რესტორანი გაიხსნება

ძველ თბილისში მდებარე უნიკალურ ოტენის აფთიაქში მალე რესტორანი გაიხსნება. აფთიაქი 120 წლის შემდეგ დაიკეტა და მისი ახალი მეპატრონე დღე-დღეზე კვების ობიექტს გახსნის.

ლეილა ცომაია:

– ოტენის აფთიაქში, 6-თვიანი რემონტის შემდეგ, დღე-დღეზე რესტორანი გაიხსნება!

თვალსა და გულს ახარებს, ნამდვილად, ლეონიძის 8 ნომერში მდებარე განახლებული ოტენის ისტორიული აფთიაქის ხილვა, რომელშიც აღდგა, ათწლეულების განმავლობაში დაფარული კედლისა და ჭერის მხატვრობაც. განახლდა ავეჯიც, რომელსაც დაუბრუნდა ძველი დიდება და ბზინვარება. აიყარა ათეული წლების წინ დაგებული მეტლახი და შეიცვალა მუხის მსგავსი ლამინატით. იმედოვნებ, რომ დედაქალაქის კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნებისათვის მუდამ ებრძოლი თბილისის ინტელიგენცია და ოტენის შთამომავლობა, არც დღეს შეხვდება დუმილით ასში რესტორნის გახსნას და არ წაუყრუებს ამ უხერხულ ფაქტს!

ჩემი მხრივ, აფთიაქის ერთ-ერთ მეპატრონეს მე შევთავაზე კომპრომისული ვარიანტი, რომ ფთიაქის ცენტრალურ დარბაზში დატოვოს აფთიაქი, ან, უკიდურეს შემთხვევაში, სხვა უფრო ელტურული ღონისძიებების დარბაზად აქციოს – დისკუსიების, პრესკონფერენციების, თუნდაც, სამთავრობოსაც, როგორც ფინანსური შემოსავლის წყარო, ხოლო, მეორე უკანა – თეთრი დარბაზი კი – შესასვლელით „ბარის“ მხრიდან, რის გახსნასაც ჩვენ ყველამ ერთად, წლების წინ ოვუყრუეთ, რესტორნად, რამეთუ მეპატრონე აცხადებს, რომ „ოფთიაქი აღარ არის შემოსავლიანი, ამ ქუჩის პატარა მონაკვეთზე უკვე ფუნქციონირებს 3 აფთიაქიო“. და, ასეც არის! სა ითხის დახანება არ ეგების, საკითხი ჩვენგან ოპერატიულ რეაქციას საჭიროებს!

„იუმორინა 2024“ იწყება

შოუ ბიზნეს ცენტრი „ლომისი“ ყოველი წლის ბოლოს „იუმორინას“ მართავს, რომელშიც ცნობილი მსახიობები, მომღერლები და იუმორისტები მონაწილეობენ.

წელს იუმორინა თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში 7 და 8 დეკემბერს გაიმართება. ჯემალ ბაღაშვილის მიერ დაწერილ სრულიად ახალ პროგრამას წარმოადგენენ.

„იუმორინას“ წამყვანები მსახიობები ნინაკა გელაშვილი, ანდრია გველესიანი და ჯანო იზორია იქნებიან. კონცერტების ავტორი და რეჟისორი ჯემალ ბაღაშვილია, მუსიკალური ხელმძღვანელი კი – გია ბაღაშვილი.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ნუკი კოშკელიშვილის პარფიუმერია ამერიკაშიც გაიყიდება

მოდელისა და ტელეწამყვანის ნუკი კოშკელიშვილის მიერ წარმოებული პარფიუმერია ამერიკის შეერთებულ შტატებშიც გაიყიდება. ლიცენზია ნუკიმ და მისმა კომპანიამ უკვე მიიღეს:

– პირველი ქართული დეკორატიული კოსმეტიკა, რომელსაც აქვს უმაღლესი ხარისხის სერთიფიცირება, ოფიციალურად იყიდება ამერიკის შეერთებულ შტატებში, გული გამოსკდება ბედნიერებისგან... მადლობა ყველას, ვისაც გჯეროდათ.

ყოველდღიურად ჩვენ ვმუშაობთ იმაზე, რომ შევქმნათ ახალი პროდუქცია და გაგახალისოთ, გაგაბედნიეროთ და გაგახაროთ. უღრმესი მადლობა ამხელ ინტერესისთვის. თქვენი იდეებიც ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ მივიღეთ სპეციალური სერთიფიკატი, რაც ნიშნავს, რომ ჩვენი პროდუქცია არის აბსოლუტურად სუფთა და საუკეთესო.

სალომე ტეტიაშვილი: „ნუ დასცინით კოლეგებს!“

მომღერალი სალომე ტეტიაშვილი კოლეგებს სთხოვს, არ დასცინონ ერთმანეთს:

– ნუ დასცინით კოლეგებს! შეიძლება არ აღიქვამთ კოლეგად, მაგრამ საჯაროდ დაცინვა ძალიან ტეხს. ეს ქცევა იმაზე მეტად გოიმურია, ვიდრე ის, რის გამოც დასცინით ადამიანს. არ მოგწონს – გაატარე. უმარტივესია.

გიორგი მასხულიამ ანრი ჯოხაძეს დიზაინი დაუწუნა

დიზაინერმა გიორგი მასხულიამ მომღერალ ანრი ჯოხაძეს თბილისში გამართულ სოლო კონცერტზე დიზაინი დაუწუნა:

– იტყვი და ცუდი ხარ. ანრი რომ ნიჭიერია და მისი ოჯახი, ეს ვიცი და უდიდეს პატივს ვცემ მის შემოქმედებას და ხელოვნებას, მაგრამ ვერ მოვითმინე, ალბათ ჩემი პირდაპირობის ბრალია ეს. ვფიქრობ, რომ ასეთი დონის და კარგ მომღერალს დიზაინერი პირადად უნდა ჰყავდეს – მისი იმიჯმეიკერი, კრეატიული ასისტენტი, რომელიც დაეხმარება ლუქების და სხვა საკითხების მოგვარებაში. ანრი მღერის გენიალურად, არის კარგი ვოკალისტი. მეპუერემ პური უნდა გამოაცხოს, ეს ასეა ნათქვამი და სწორედაც მიმაჩნია, მას ჰყავს გვერდით მოდის კრიტიკოსები, როგორც თავად ეძახიან. ვფიქრობ, ბარხატის წითელი ზედა-ქვედა ცოტა ბანალურია. ასევე, სცენაზე ამხელა წითელი როიალი და ეს შეუხამებელი კოლაბორაცია სამოსის, ვფიქრობ, თვალში ცოტა უხეშად მოსახვედრია. ამ ყველაფერს ვხსნი, როგორც ჩემი საქმის მსახური, მე ვეხები მის გაფორმებას და პირად ჩაცმულობას, სხვა რამეს არა. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ძალიან მიყვარს როგორც ხელოვანი და მისი საქმის პროფესიონალი, მაგრამ ლუქი 0, ეს ფრენა 0. ან იყავით ანრის ნამდვილი მეგობრები და შეურჩიეთ კარგი ლუქები, ან ნუ იბრალებთ ამ მეგობრობას კრიტიკოსები და დიზაინერები.

ულევი წარმატებები ანრის მის სფეროში. ის ერთადერთი და შეუდარებელი მომღერალია, მაგრამ ეს უნდა მეთქვა აუცილებლად.

გიორგი მარშანია: „ჟოზეს სახელს ნუ იყენებთ უნებართვოდ“

ჟირაფი ჟოზეს შემქმნელი გიორგი მარშანია მოუწოდებს ყველას, არ გამოიყენონ ჟირაფი ჟოზეს სახელი უნებართვოდ:

– ჟოზეს სახელს ნუ იყენებთ უნებართვოდ. მისი ვიზუალი, მუსიკა და სახელი არის სტუდია ველოსიპედის საკუთრება. ჟოზეს შექმნასა და პოპულარიზაციაში დაიხარჯა ძალიან ბევრი ადამიანის დრო, ენერგია, შრომა, ნიჭი და პროფესიონალიზმი! ჟოზეს შექმნასა და პოპულარიზაციაში დაიხარჯა ძალიან ბევრი ფული! მისი სახელის, მუსიკის და ვიზუალის უნებართვოდ გამოყენება არის ამ შრომის უპატივცემულობა და ჩვენი უფლებების უხეში დარღვევა, რომელიც ისჯება კანონით. ჩვენი სტუდიის საავტორო უფლებებს იცავენ ძალიან გამოცდილი ადვოკატები, ამიტომ გთხოვთ, გაითვალისწინეთ, რომ ასეთი შემთხვევები არ დარჩება რეაგირების გარეშე! გთხოვთ, პატივი ეცით ჩვენს ინტელექტუალურ საკუთრებას და დაიცავით კანონი! სხვისი შრომით შემოსავლის უნებართვოდ მიღება არ არის სწორი – არც იურიდიულად და არც წმინდად ადამიანურად.

„შაშვი, შაშვი მაყვალი“ ესპანეთში დაჯილდოვეს

რეჟისორ ელენე ნავერიანის ფილმი „შაშვი, შაშვი მაყვალი“ ესპანეთში გამართულ ხიხონის საერთაშორისო კინოფესტივალზე დაჯილდოვეს. ფილმმა 3 პრიზი მოიგო საერთაშორისო კინოფესტივალზე. ნომინაციაში საუკეთესო მამაკაცის როლის შესრულებისთვის პრიზი თემიკო ჭიჭინაძემ მიიღო, საუკეთესო ქალის როლის შესრულებისთვის – ეკა ჩავლეიშვილმა, საუკეთესო რეჟისურისთვის კი – ელენე ნავერიანმა.

„შაშვი, შაშვი მაყვალი“ თამთა მელაშვილის რომანის მიხედვით არის გადაღებული და მრავალი საერთაშორისო კინოფესტივალი პრიზის მფლობელია.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური ბულგარეთში; 2. ვითარება, როდესაც ორი არასასურველი შესაძლებლობიდან აუცილებელია ერთ-ერთის არჩევა; 3. შვედეთის პარლამენტი; 4. ციხე-სიმაგრე ალგეთის ხეობაში; 7. სულიერი განწმენდა; 8. გუნდური შეჯიბრება ცურვასა და მძლეოსნობაში; 12. საკრედიტო დაწესებულება; 14. კარდინალთა საბჭო, რომელიც რომის პაპს ირჩევს; 16. ცხოველთა საჭერი მახე; 17. ბრიტანეთის ნაწილი; 19. მკბენარა მწერი; 20. ქართული გაზეთი.

თარაზულად: 5. სვანური ციხე-კოშკი; 6. ბურთის ოსტატურად ტარება ფეხბურთსა და კალათბურთში; 9. კურორტ იალტის ძველი სახელწოდება; 10. შამფურზე შემწვარი ხორცი; 11. ყურის ანთება; 13. კლიმატური კურორტი ხონის რაიონში; 15. ანგორული თხის მატყლი; 18. წნული ქოხი სამეგრელოში; 21. ფრანგული ვაშლის ღვინო; 22. ქვის ხანის უკანასკნელი პერიოდი; 23. უძველესი ქართული სახელმწიფო.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა